პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

შაბათი, 17 ივლისი 1937 წ. № 162 (4963)

შესრულდა ერთი წელი, რაც ესპანეთის ხალხი გმირულად ებრძვის სისხლიან ფაშიზმს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

„... ესპანეთის განთავისუფლება ფაშისტ-რეაქციონერთა ჩაგვრისაგან არ არის ესპანელთა კერძო საქმე, არამედ მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეა“.

(ი. სტალინი)

ჩვენი მხურვალე ძმური სალამი რესპუბლიკური ესპანეთის გმირულად მებრძოლ ხალხს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! მოსკოვ-ვოლგის არხის ამუშავების ისტორიულ დღეს მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა მოსკოვის მშრომელთა და არხის მშენებელთა სახელით მხურვალე სალამსა და გულითად მილოცვებს გიძღვნით თქვენ ჩვენი დიადი ეპოქის ამ შესანიშნავი ძეგლის დამთავრების გამო, რომელიც შექმნილია თქვენი ინიციატივით და თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით.

მოსკოვ-ვოლგის არხი მოწმობს ლენინ-სტალინის პარტიის გენიალური ხაზის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას, ცხადჰყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა წყობილების ძლიერებასა და შეურყევლობას, მშრომელთა ფართო მასების უსაზღვრო ხდომას და ერთგულებას სოციალიზმის საქმისადმი.

ჩვენი არხი იცოცხლებს საუკუნეებში, როგორც სოციალიზმის სიმბოლო, როგორც გამოხატულება უდიდესი სტალინური ზრუნვისა ადამიანზე.

არხის თვითეულ ნაჭერ ლითონში, თვითეულ კამხალში, თვითეულ რაბში ჩაქსოვილია ჩვენი სოციალისტური შრომა, ჩვენი ენერგია, ჩვენი სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ჩვენი ბრძოლა ახალი ადამიანისათვის, კომუნისტური საზოგადოებისათვის.

არხის მშენებლობის წარმატებითმა დამთავრებამ სოციალიზმის ქვეყნის დედაქალაქი იხსნა უწყლობისაგან. წყალთა ტრანსპორტმა იგი კიდევ უფრო მტკიცედ დაუკავშირა ჩვენი ბედნიერი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეებს.

ასეთი საუცხოო ნაგებობის აშენება, როგორიცაა მოსკოვ-ვოლგის არხი, ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ იმის შედეგად, რომ გაიმარჯვეს სტალინურმა ხუთწლედებმა, რომლებმაც სსრ კავშირი გადააქციეს მაღალი ინდუსტრიის, მოწინავე ტექნიკის ქვეყნად.

ამ გამარჯვებებს პარტიამ მიაღწია დაუზოგავ ბრძოლაში ხალხის მტრებთან, გაანადგურა რა ფაშიზმის აგენტურა — ტროცკისტ-მემარჯვენე ჯაშუშები, დივერსანტები, მკვლელები და მათი საზიზღარი დამქაშები. ბოლშევიკური პარტიის მტკიცე ხელი შემდგომაც აღმოფხვრის ხალხის ყველა მტერს!

მოსკოვ-ვოლგის არხის ამუშავება ემთხვევა იმ დროს, როდესაც ბრწყინვალედ დამთავრდა საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის გრანდიოზული გადაფრენა მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა ავიაციის გამარჯვებანი და მსოფლიოში უდიდესი სამდინარო არხის დამთავრება საუცხოო საჩუქარია დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. ამ შესანიშნავი მოვლენებით იწყება ახალი თავი ადამიანის მიერ ბუნების დაპყრობის ისტორიაში. ისინი უჩვენებენ მთელს მსოფლიოს, თუ რა საგმირო საქმეთა ჩადენა შეუძლია განთავისუფლებულ ხალხს, ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილს, რომელსაც აღაფრთოვანებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება.

ვდღესასწაულობთ რა არხის გახსნას, ჩვენ გვახსოვს, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ დიდი ამოცანები დგას. და ჩვენ გარწმუნებთ თქვენ, რომ კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობითა და ბოლშევიკური სიმტკიცით ვიბრძოლებთ მოსკოვის სოციალისტური რეკონსტრუქციის თქვენ მიერ მოხაზული გეგმის წარმატებითი განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მის მოქალაქეთა ბედნიერი, შეძლებული ცხოვრებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

გაუმარჯოს სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ინიციატორს და ხულისჩამდგმელს, ჩვენს საყვარელ მასწავლებელს, ბელადს, მეგობარს— ამხანაგ სტალინს, რომლის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში და გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში!

სისხლიანი ფაშიზმი უნდა განადგურდეს!

წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც სისხლიანმა ფაშიზმმა ესპანეთში დაანთო ომის კოცონი. წელიწადია, რაც ფაშიზმი დაუნდობლად ჰხოცავს და ჰლეწს მშვიდობიან მოსახლეობას, ანადგურებს კულტურას, აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე არის შექმნილი.

გენერალი ფრანკო, ეს ხალხის მოსისხლე მტერი, გერმანია-იტალიის ფაშიზმის მარიონეტი, ბითუმად და ცალობით ჰყიდის ესპანეთის ხალხსა და ტერიტორიას, ოღონდ კი თავისი სადისტური ზრახვები განახორციელოს — სისხლში ჩაახრჩოს ესპანეთის მშრომელი ხალხი.

ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს რესპუბლიკური მთავრობა ხალხის, კულტურისა და ცივილიზაციის დაუძინებელი მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ, არის ბრძოლა დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი და მოწინავე ინტელიგენცია მხურვალედ თანაუგრძნობენ გმირ ესპანელ ხალხს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ეს გასაგებიცაა: მშრომელ ხალხს და პროგრესიულ ინტელიგენციას ომი არ სურთ. მათ კარგად იციან ფაშისტი-ვეშაპების ზრახვები და ის, რომ ომი ესპანეთში შესავალია იმ უდიდესი, სისხლისმღვრელი და გამანადგურებელი იმპერიალისტური ომებისა, რომელთაც გაცოფებული ფაშიზმი ამზადებს.

გერმანია-იტალიის გათახსირებული, გათავხედებული ფაშისტი ინტერვენტები, ომით მოვაჭრენი ცდილობენ არა მარტო ესპანელი გმირი ხალხის სისხლში ჩახრჩობას, ესპანეთის ნედლეულზე მონოპოლიურად ბატონობას, არამედ მთელი მისი ტერიტორიის ხელში ჩაგდებასაც და ხმელთაშუა ზღვაზე ძლიერი პლაცდარმის შექმნას თავიანთი ავანტიურისტული პოლიტიკის განსახორციელებლად.

გერმანია-იტალიის ფაშიზმის აღვირახსნილი ბანდა არ მალავს თავის ვერაგულ ზრახვებს ესპანეთის მიმართ. 27 ივნისს ვიურცბურგში წარმოთქმულ სიტყვაში ჰიტლერმა ხმამაღლა განაცხადა: „გერმანიას ესაჭიროება რკინის მადნის იმპორტი, აი რატომ გვსურს ჩვენ, რომ ესპანეთში იყოს ნაციონალისტური (ე. ი. ფაშისტური. რედ.) მთავრობა. მაშინ ჩვენ შევძლებთ ვიყიდოთ ესპანეთის მადანი“.

იტალიის გაცოფებული ფაშიზმი კიდევ უფრო დიდ იმედებს ამყარებს ამ საზიზღარ ავანტიურაზე. თავის პრესის ფურცლებზე იგი აშკარად გაჰყვირის ესპანეთის დაპყრობის შესახებ. გაზეთი „რეჟიმე ფაშისტა“ სწერს: „ესპანეთში მყოფ ლეგიონერებს თავიანთი კეთილშობილური (?!) წვლილი შეაქვთ იტალიის იმპერიის პოლიტიკური აგების საქმეში“.

სწორედ ამ დროს, როდესაც გამხეცებული ფაშიზმი, პირზე დორბლმოსული გაჰყვირის ესპანეთის დაპყრობაზე და ანთებს სისხლისმღვრელი ომის კოცონს, ჩაურევლობის უზერზმელო კომიტეტი განაგრძობს ფაქტიურად ამ ავანტიურის ხელისშეწყობ პოლიტიკას. მისი თვითეულის მუშაობა მოცულია სიბნელით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ამხ. მაისკის გაბედულ და პირდაპირ გამოსვლებს, რომლებშიაც იგი ამჟღავნებს ფაშისტ-ინტერვენტთა ამ არნახულ საზიზღარ ვერაგობას.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა და საყვარელმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განსჭვრიტა ფაშისტ არამზადათა მუხანათური ზრახვები და თავის მოკლე და მჭერმეტყველურ საპასუხო დეპეშაში ხაზი დაუსვა: „ესპანეთის განთავისუფლება ფაშისტ-რეაქციონერთა ჩაგვრისაგან არ არის ესპანელთა კერძო საქმე, არამედ მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეაო“.

ესპანეთის გმირი ხალხის ბრძოლას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეს მსოფლიოში პირველი და უდიდესი მოვლენაა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლისა.

ესპანეთის მშრომელი ხალხი იბრძვის დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის. მაგრამ დემოკრატია, რომელიც შობილია გაავთრებულ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, განსხვავდება ჩვეულებრივი ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან, სადაც ჰეგემონს ექსპლოატატორული კლასები წარმოადგენენ. ესპანეთში საქმე გვაქვს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დემოკრატიასთან, სადაც ჰეგემონი მუშათა კლასია. საქმე გვაქვს დემოკრატიასთან, რომელიც მედგარ ბრძოლას აწარმოებს ფაშიზმის წინააღმდეგ და ამზადებს პირობებს ხალხის სოციალური და ნაციონალური სრული განთავისუფლებისათვის.

ესპანეთის მშრომელი ხალხი გაერთიანებული ფრონტით, მაღვილამართული, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური შავი რეაქციის წინააღმდეგ. ობერ-კონტრრევოლუციონერი ბანდიტი ტროცკი და მისი ქოფაკები აწარმოებენ საზიზღარ ჯაშუშურ-დივერსიულ მუშაობას და ცდილობენ ესპანეთის გმირულად მებრძოლ ხალხს გამცემლური ლახვარი ჩასცენ ზურგში. ეს საზიზღარი ქვეწარმავალნი უკვე გამოაშკარავებული არიან, ესპანეთის ხალხი მათ ღირსეულად უსწორდება და საბოლოოდ გაუსწორდება კიდეც. ესპანეთში რევოლუციის გამარჯვების ერთერთი აუცილებელი პირობაა ამ არამზადების დაუნდობლად გასრესა და გაცამტვერება.

რესპუბლიკური ესპანეთის წინაშე მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები დგას. მათი გადაჭრა მძაფრი კლასობრივი ბრძოლების საქმეა. ესპანეთის გმირი, თავისუფლების მოყვარე ხალხი ამ დიად მისიას, რომელიც მას ისტორიამ არგუნა, ბრწყინვალედ შეასრულებს და მედგრად აღმართავს საბოლოოდ გამარჯვების დროშას.

პირველი შეხვედრა

(ტელეგრაფით „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სან-დიეგო, კალიფორნია, 15 ივლისი (საქდესი). გრომოვი ხუმრობს:—ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენს თავს ვეკუთვნოდით მხოლოდ პირველი ნახევარსაათის განმავლობაში, ვიდრე ამერიკელ კორესპონდენტებს ჩვენზე იერიში არ მოეტანათ.

როდესაც წითელფრთიანი თვითმფრინავი დაეშვა მინდორზე დაბა სან-ჯასინტოდან სამი მილის მანძილზე და დანილინი მანქანიდან გადმოხტა და სიამოვნებით გაიმართა მუხლებში,—ირგვლივ არცერთი სულდგმული არ ჩანდა. მაგრამ უკვე ერთი წუთის შემდეგ შტურმანმა შენიშნა ძველი ავტომობილი, რომელიც მინდორზე მოექანებოდა. ამ მანქანიდან გადმოხტა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ინგლისურად მიმართა დანილინს. შტურმანმა ხელი ჩაიყო ჯიბეში და ამოიღო ქაღალდი, წინდახედულად გამზადებული ჯერ კიდევ მოსკოვში.

„ჩვენა ვართ საბჭოთა კავშირის მფრინავები, რომლებიც ვახდენთ გადაფრენას მოსკოვიდან ამერიკაში ჩრდილოეთის პოლუსით. გთხოვთ სასწრაფოდ აცნობოთ საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას ვაშინგტონში, ადგილობრივ ხელისუფალთ და უახლოეს აეროდრომებს, რომ ჩვენ მშვიდობით დავეშვით“.

ახალგაზრდა კაცი ახტა თავის მექანიკურ ეტლში, და გაემართა ტელეგრაფისაკენ. ათი წუთის შემდეგ ჩვენ ვართ სან-დიეგოს აეროდრომზე. ცოტა ხნის შემდეგ მთელმა ამერიკამ, მერე კი მთელმა მსოფლიომაც გაიგო, რომ საბჭოთა თვითმფრინავი, რომლის შესახებაც რამდენიმე საათის განმავლობაში არავითარი ცნობები არ იყო, დაეშვა ოთხმოც მილზე მექსიკის საზღვრიდან. ეს ახალგაზრდა კაცი ფერმერი იყო. რამდენიმე საათის შემდეგ, ის ძალიან ცნობილი კაცი შეიქნა, როგორც პირველი ამერიკელი, რომელმაც ტრანსპოლარული პილოტები ნახა. მის სახელს აღნიშნავდა ყველა გაზეთი, იგი იძლეოდა დაუსრულებელ ინტერვიუებს, საღამოთი კი წარმოსთქვა სიტყვა რადიოთი მარჩფილდიდან.

ერთი დღის განმავლობაში ჩვენს მფრინავებთან იყო სულ ცოტა ასი რეპორტიორი და ფოტოგრაფი; ამან ისინი ძალიან დაქანცა.

სამეულს დიდ სიხარულს ჰგვრის მისასალმებელი დეპეშები. ხანგრძლივი საჰაერო მგზავრობის შემდეგ სახელოვანმა სამეულმა დაისვენა მხოლოდ სამი საათი, თუმცა მარჩფილდის ავიანაწილის სტუმართმოყვარე სარდლობამ ყველაფერი გააკეთა, რათა საბჭოთა მფრინავებს თავი კარგად ეგრძნოთ. სარდლობამ ფრენა აკრძალა იმ ზონაში, სადაც ჩვენი პილოტები იმყოფებოდნენ, რომ მოტორების ხმაურს არ დაერღვიათ მათი მყუდროება.

გრომოვს არ ეძინა, როდესაც ჩვენ მივუტანეთ მას სტალინის, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელთა მისალმება. მან ყურადღებით გადაიკითხა რადიოგრამა და ამ თავშეკავებული ადამიანის სახეზე გამოიხატა შინაგანი მღელვარება.

„რით შეგვიძლია ჩვენ პასუხი გავცეთ ასეთი ყურადღების გამოჩენას?“—სთქვა გრომოვმა და წავიდა თავის ამხანაგებისაკენ. მათ ერთად გაგზავნეს პასუხი კრემლში.

ლ. ხვატი

გმირთა მისალმება გმირებს

მათ კიდევ უფრო აამაღლეს სსრ კავშირის სახელოვნება და ძლიერება

ძალიან მოხარული ვარ, რომ დიადი სტალინური ტრასა მოსკოვ-ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილოეთ ამერიკა ხელმეორედ, ჩკალოვის, ბაიდუკოვის და ბელიაკოვის შემდეგ ბრწყინვალედ გაიარეს თვითმფრინავ „ანტ-25“-ით ამხანაგებმა გრომოვმა, იუმაშევმა, დანილინმა.

საბჭოთა სამშობლოს მამაცმა მფრინავებმა დაამყარეს შორითი ფრენის ახალი საერთაშორისო რეკორდი.

მე, როგორც მფრინავს, რომელიც კარგად ვიცნობ არქტიკას, მახარებს ის, რომ საბჭოთა მფრინავებს ეკუთვნით სახელი ცივი, მშფოთვარე არქტიკის დაპყრობისა, არქტიკის, რომელიც ოდესღაც მიუვალად ითვლებოდა,—და ორ მატერიკს შორის—სსრ კავშირსა და ამერიკას შორის უმოკლესი გზის გაკვალვისა.

რამდენიმე წელია გრომოვს პირადად ვიცნობ. იგი განათლებული, მამაცი, ნებისყოფის მქონე მფრინავია. გრომოვში თავმოყრილია ყველაზე საუკეთესო თვისებანი, რომლებიც საჭიროა მფრინავისათვის მის რთულ მუშაობაში. საფრენოსნო საქმე მე გრომოვისაგან ვისწავლე და ვამაყობ ამით. მის ამხანაგებს იუმაშევსა და დანილინს მეგრეთვე ვიცნობ, როგორც ჩვენი სამშობლოს ავიაციის საუკეთესო ადამიანებს. საბჭოთა კავშირის ეს ამაყი შევარდნები აღზარდა სოციალიზმის ქვეყანამ, ლენინ-სტალინის პარტიამ. იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან დგას ჩვენი მშობლიური სტალინი, მომაგე დედასავით დგას საბჭოთა ქვეყანა, დგანან მისი მშრომელები,—და ამიტომ მამაცი გმირები გრომოვი, იუმაშევი, დანილინი გაბედულად მიფრინავდნენ გამარჯვებისაკენ, კიდევ უფრო აამაღლეს სსრ კავშირის სახელოვნება და ძლიერება.

მხურვალე სალამი, გულითადი მილოცვა სამ გმირს, რომლებმაც ლენინ-სტალინის ქვეყნის, სოციალიზმის ქვეყნის მაღლა აღმართული დიადი წითელი დროშით კიდევ ერთხელ ღირსეულად გადაუარეს ზღვას!

საბჭოთა კავშირის გმირი
ი. დორონინი.

სევასტოპოლი, 15 ივლისი

შესანიშნავი განძი მსოფლიო ავიაციაში

— არავითარი ეჭვი არაა, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირი—ამერიკის შეერთებული შტატების ტრასით თვითმფრინავები იფრენენ, როგორც უმოკლესი გზით, რომელიც აერთებს ორ უზარმაზარ სახელმწიფოს. ამ გზის ასათვისებლად უნდა გადალახული იქნეს კიდევ მრავალი დაბრკოლება. მაღალ განედებში ფრენის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოყინვა. უნდა ვისწავლოთ ამ საფრთხის დაძლევა. ყოველივე დანარჩენი ტრანსარქტიკული რეისების განხორციელებისათვის ჩვენ მოგვეპოვება. ეს შეეხება თვითმფრინავებსაც, მოტორებსაც, მფრინავთა კადრებსაც.

საბჭოთა კავშირის გმირი
გოლოვინი.

ლენინგრადი, 15 ივლისი.

ჩვენი ძლიერების დემონსტრაცია

როგორც საბჭოთა პატრიოტი, ვამაყობ საბჭოთა ავიაციის კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვებით. ვიმყოფები ლენინის ქალაქში, სადაც უდიდესი სიხარულით გავიგე, რომ დამთავრდა გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის პასუხსაგებო რეისი. ჩვენმა დიადმა სამშობლომ კვლავ ცხადჰყო მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი ძლიერება. ეს გადაფრენა წარმოადგენს საუკეთესო პასუხს საბჭოთა ხალხის მტრების ჯაშუშურ და დივერსიულ გამოლაშქრებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირი დაამყარებს რეკორდებს ავიაციის ყველა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით.

საბჭოთა კავშირის გმირი
ალექსეევი.

ლენინგრადი, 15 ივლისი.

ღირსეულად შეასრულეს სტალინის დავალება

ჩვენი ავიაცია გამდიდრდა პირდაპირი ხაზით შორი ფრენის კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდით. თვითმფრინავ „ანტ-25“-ის ეკიპაჟმა გრომოვმა, იუმაშევმა, დანილინმა ღირსეულად შეასრულეს სტალინის დავალება; მოახდინეს რა გადაფრენა მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსით მარჩფილდში.

მოხარული ვარ და მთელ ჩემს დიად სამშობლოსთან ერთად ვამაყობ ჩემი უშიშარი ამხანაგების წარმატებით. გულითადად მოგილოცავთ. თქვენ ღირსეულად დაამტკიცეთ პოლუსით სსრ კავშირსა და ამერიკას შორის საჰაერო რეგულარული მიმოსვლის რეალობა.

დიდება სტალინის მიერ გაზრდილთ, რომლებმაც პოლუსზე გადაატარეს კულტურისა და პროგრესის დროშა!

საბჭოთა კავშირის გმირი
ა. ლიაპიდევსკი.

იალტა, 15 ივლისი.

ოკეანეზე, ყინულოვან სივრცეებზე გაატარეთ ჩვენი სამშობლოს დიდება

დიდება და სახელი საფრენოსნო ხელოვნების განსაცვიფრებელ ოსტატებს გრომოვს, იუმაშევს, დანილინს. სალამი თქვენ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გმირო, მამაცო შვილებო, ლენინ - სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილნო საბჭოთა საუცხოო მანქანის ფრთებზე, დიადი სტალინური მარშრუტით ოკეანეზე, მატერიკებზე და ყინულოვან სივრცეებზე გაატარეთ თქვენ ჩვენი სამშობლოს დიდება, მუშურ-გლეხური წითელი არმიის დიდება რომლის რიგებშიც თქვენ აღიზარდეთ და გამოიბრძმედეთ.

განსაკუთრებული სიხარულით გადმოგცემთ თქვენ, გმირებს, წითელარმიულ სალამს ჩემი სახელით და შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის ყველა მეომრის, მეთაურის სახელით.

შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სამხედრო საბჭოს
საბჭოთა კავშირის მარშალი
ვ. ბლიუხერი.

ხაბაროვსკი, 15 ივლისი.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი მუნტერსის მილოცვა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა ბ. მუნტერსისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„იმასთან დაკავშირებით, რომ განმეორდა გადაფრენა ჩრდილოეთის პოლუსით, რაც ამტკიცებს საჰაერო მიმოსვლის ახალი მნიშვნელოვანი გზების განვითარების შესაძლებლობას, მოგესალმებით თქვენი მფრინავების მიღწევის გამო.

მუნტერსი“.

პიერ კოტის მილოცვა

პარიზი, 15 ივლისი (საქდესი). სსრ კავშირის საავიაციო ატაშემ პარიზში ბრიგადის მეთაურმა ვასილჩენკომ საფრანგეთის ავიაციის მინისტრ პიერ კოტისგან მიიღო მილოცვა ამხ. გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის გადაფრენის ბრწყინვალე წარმატების გამო, რომლებმაც დაამყარეს სიშორეზე ფრენის ახალი მსოფლიო რეკორდი და გადაასწრეს საფრანგეთის მფრინავების კოდოსისა და როსის მიერ დამყარებულ სიშორის წინანდელ რეკორდს.

საბჭოთა ავიაციის ბრწყინვალე წარმატება

პარიზი, 15 ივლისი (საქდესი). საფრანგეთის მთელი პრესა აღნიშნავს საბჭოთა ავიაციის ბრწყინვალე წარმატებას. საბჭოთა ავიაციამ ძალიან მოკლე ხანში დაანახვა მსოფლიოს ისეთი დიდებული მიღწევები, როგორიცაა ჩრდილოეთის პოლუსზე გაფრენა, ჩკალოვის, ბელიაკოვის და ბაიდუკოვის ტრანსპოლარული გადაფრენა და, ბოლოს, გრომოვის, იუმაშევის და დანილინის ისტორიული გადაფრენა მოსკოვიდან კალიფორნიაში. გაზეთების კომენტარიებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გრომოვის, დანილინის და იუმაშევის წარმატება განსაკუთრებით დიდია, ვინაიდან უკვე მარტო ის გარემოება, რომ ფრანგი მფრინავების კოდოსისა და როსის მიერ დამყარებული რეკორდი შორფრენისა ოთხი წლის განმავლობაში მიუწვდომელი იყო, მოწმობს, თუ რა სიძნელეებს წარმოადგენს ახალი რეკორდის დამყარება. მაგრამ ამხ. გრომოვის გადაფრენის მნიშვნელობა, როგორც აღნიშნულია კომენტარიებში, კიდევ უფრო ძლიერი ხდება იმის გამო, რომ გადაფრენა სწარმოებდა განსაკუთრებით ძნელ მეტეოროლოგიურ პირობებში და ჩრდილოეთის პოლუსზე გავლით. [illegible] მთელი პრესა აღიარებს ამხ. გრომოვის, დანილინის და იუმაშევის გადაფრენის უდიდეს ღირებულებასა და მნიშვნელობას.

„ლუმანიტე“ სწერს:

„გრომოვის, იუმაშევის და დანილინის გადაფრენა დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს მთელს მსოფლიოში და ხალხის მასებში გამოიწვევს აღტაცებას საბჭოთა კავშირით, რომელსაც შეუძლია ასეთი მანქანების წარმოება და ასეთი ადამიანების შექმნა.“

რესპუბლიკური ესპანეთი გაიმარჯვებს!

მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის რაინდები

ვალენსია, 15 ივლისი (საქდესი). ყოფილმა კალატოზმა, რესპუბლიკური სახალხო არმიის ერთერთმა დიდად გამოჩენილმა ხელმძღვანელმა, იმ დივიზიის მეთაურმა, რომელიც გმირულად იბრძვის ცენტრალურ ფრონტზე და რომელიც მონაწილეობას იღებდა გვადალახარის ბრძოლებში, ენრიკე ლისტერმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა:

„ის გარემოება, რომ ესპანეთში იმყოფებიან მსოფლიოს ყველა ხალხის საუკეთესო შვილები, რომლებიც ნებაყოფლობით შევიდნენ ჩვენს სახალხო არმიაში, რათა ესპანელ ხალხთან მხარდამხარ იბრძოლონ საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ და ესპანეთის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, წარმოადგენს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტს, რაც მოწმობს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ თავისუფალ და პატიოსან მებრძოლთა შორის არსებულ სოლიდარობას. ღვრიან რა სისხლს ჩვენთან ერთად იმავე სანგრებში, მათ ესპანეთის ხალხი მტკიცე მეგობრობით დაუკავშირეს სხვა ხალხებს და ამ კავშირს ვერავინ დაარღვევს.

ლუკაჩი, ბეიმლერი, პიჩელი და ბევრი სხვა ამხანაგი, თავიანთი ხალხების და ჩვენი ხალხის გმირები წარმოადგენენ იმ მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის რაინდებს, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. ისინი დაიღუპნენ სახელოვანი სიკვდილით, ისინი—იმ ეპოპეის გმირები, რომელსაც ჩვენ ვქმნით ფრონტებზე და ჩვენი სამშობლოს ზურგში.

ზიზღისამძვრელი და არასაკადრისია, როდესაც ფაშისტები და ეგრეთწოდებული „დემოკრატები“ ცდილობენ შეადარონ ეს შესანიშნავი მეომრები მუსოლინისა და ჰიტლერის დაქირავებულ აგენტებს, რომლებიც გამოგზავნილი არიან ჩვენს ქვეყანაში მოტყუებით თუ ძალით ანდა ავანტიურის გულისათვის, ნადავლის შოვნის გულისათვის, ბოროტმოქმედებისათვის. ეს „მოხალისეები“ ირმის ჯოგივით გარბოდნენ ხარამის ფრონტზე და გვადალახართან. ინტერნაციონალური ბრიგადის მეომრები, რასაკვირველია, უფრო ესპანელები არიან, ვიდრე ყოველგვარი ფრანკოები და კეიპო დე ლიანოები.

მოღალატეებმა ამბოხების შემდეგ დაჰკარგეს მოქალაქეობა. ინტერნაციონალური ბრიგადის მეომრები ჩამოვიდნენ ესპანეთში, გამსჭვალულნი სურვილით იბრძოლონ ყველა მშრომელის საქმისათვის.

ყველა ფრონტზე მათ ცხადჰყვეს თავიანთი ბრძოლისუნარი და სიმამაცე. ისინი მუდამ იყვნენ ფრონტის უაღრესად საშიშ უბნებზე. ისინი ცხოვრობდნენ ესპანელ ჯარისკაცთა ცხოვრებით და მათთან ერთად განიცდიდნენ მწუხარებისა და სიხარულის საათებს. ჩვენთან ერთად იმავე ჰიმნის სიმღერით მიდიოდნენ ისინი ბრძოლაში. ჩვენი ფრონტი მათთვის იყო და არის სიცოცხლის ფრონტი, ყველა ხალხის თავისუფლების საქმისათვის ბრძოლისა და გამარჯვების ფრონტი“.

ქალაქი ეჟოვო-ჩერკესკი

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 16 ივლისის დადგენილებით ორჯონიკიძის მხარის ქალაქ სულიმოვო გადარქმეულ იქნა ქალაქ ეჟოვო-ჩერკესკად.

დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. გ. დეკანოზოვის საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი დანიშნოს საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ შეთავსებით.

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი. გ. გოჩაშვილი

1937 წ. 16 ივლისი.

ჩაის ფოთლის კრეფა

საქჩაის 10 ივლისის ცნობებით

საბჭოთა მეურნეობები	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
სალიბაურის	160,5	24,1	51,8	35,3
ჩაქვის	642,5	114,8	47,4	35,2
ოჩხამურის	376,8	77,7	38,9	5,5
ლაითურის	295,6	57	36,7	21,8
ხასაკრალის	228,7	44,7	40,6	26,7
წულუკიძის	60,8	12,7	43,7	32,2
ლესიჭინის	43,1	9	45,4	28,8
დიდი-ჭყონის	131,8	26,8	33,9	18,8
ნარაზენის	230	41,2	38,5	19,4
ჯოლევჯიანის	96	24,3	44,8	36,8
წალენჯიხის	31,8	12,2	12,2	11
აჩიგვარის	120,4	30,4	37,8	37
კოდორის	49,8	8,8	47	30,1
ჩაის ინსტიტუტის ახალეულის ფართობი	33,9	10,1	35	34,7
ჩაის ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი	28,8	6,1	45,7	33,8
ჩაის ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალი	22,7	4,5	47,8	29,8
სულ	2552,7	503,4	40,4	26,4

ვეჭდავთ რა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის კომისიის ამ პროექტს „სწორ თესლბრუნვათა შემოღების შესახებ“, „კომუნისტის“ რედაქცია მოუწოდებს სოფლის მეურნეობის მეცნიერ მუშაკებს, აგრონომებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს მონაწილეობა მიიღონ პრესის ფურცლებზე სწორ თესლბრუნვათა შემოღების საკითხის განხილვაში.

სწორ თესლბრუნვათა შემოღების შესახებ

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის კომისიის პროექტი

საკოლმეურნეო წყობილების სრულმა და საბოლოო გამარჯვებამ, მსხვილი სოციალისტური მეურნეობის სისტემის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების — განუყოფელმა ბატონობამ შექმნეს ყველა აუცილებელი პირობა ყველა კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისა და სიმყარისათვის და ამით კოლმეურნეობების სიმდიდრისა და ყველა კოლმეურნის შეძლებულობის ყოველმხრივი ზრდისათვის. კოლმეურნეობებს სახელმწიფო აქტებით სამუდამო და უფასო სარგებლობაში შეამაგრათ 400 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა, მათ შორის 150 მილიონი ჰექტარი ყოფილი მემამულეთა, სახაზინო და სამონასტრო მიწები, რომლებიც კოლმეურნეობებს სოციალისტურმა რევოლუციამ გადასცა. დამყარებულია აუცილებელი წესრიგი კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობაში და მოსპობილია შორს ნაკვეთიანობა, ხარვეზიანობა და დაქსაქსულობა,—წვრილი გლეხური მეურნეობის ძველთაგანი უბედურება.

მიწათმოქმედების ჩამორჩენილი ტექნიკიდან კოლმეურნეობები, მანქანა - ტრაქტორთა სადგურების შეწევნით ტრაქტორებისა და თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო მანქანების მძლავრი პარკით შეიარაღებულნი, გადადიან მეურნეობის კულტურულად წარმოებაზე. ანეულის ფართობი კოლმეურნეობებში მეორე ხუთწლედის წლებში გაიზარდა 17 მილიონიდან 27 მილიონ ჰექტარამდე. მძრალად ხნული 18 მილიონიდან 52 მილიონ ჰექტარამდე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ნაკელის და, განსაკუთრებით, მინერალური სასუქების გამოყენება. საბჭოთა მეურნეობები განმტკიცდნენ და მათში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა მათი სანიმუშო მეურნეობებად გადაქცევისათვის.

მოსავლის სწრაფად და მტკიცედ გადიდებისათვის გვაკლია მხოლოდ ერთი რამ — ბოლშევიკური წესრიგის დამყარება მიწის სწორად გამოყენების საქმეში. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს პირველ რიგში სწორ თესლბრუნვის შემოღებას.

მიუხედავად მე-17 პარტიული ყრილობის პირდაპირი მითითებისა, რომ აუცილებელია ყველგან შემოღებულ იქნას სწორი თესლბრუნვები, სსრ კავშირის მიწსახკომმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ უზრუნველჰყვეს თესლბრუნვათა ყველგან შემოღება და ვერ მიაღწიეს კოლმეურნეობების მიერ მიღებულ თესლბრუნვათა დაცვას. კოლმეურნეობების მესამედზე მეტს არა აქვს დამტკიცებული თესლბრუნვები, და ბევრი კოლმეურნეობა, რომლებმაც დაწესებული თესლბრუნვები მიიღეს, არ იცავს მათ. არაიშვიათად კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა დარღვევისათვის ბრალი მიუძღვის თვით სამიწათმოქმედო ორგანოებს, რომელნიც თესვის დავალებათა დაყვანისას ანგარიშს არ უწევენ კოლმეურნეობის მეურნეობის წარმოების პირობებს და მის მიერ მიღებულ თესლბრუნვებს და ერთ კოლმეურნეობათა თესვის დავალებებს აკისრებენ მეორე უკეთესად მომუშავე კოლმეურნეობებს.

ანეულ - სათოხნ თესლბრუნვებში სრულიად არასაკმაო ადგილი ეთმობოდა მრავალწლიან ბალახებს. ძირითადი ტექნიკური კულტურები და ხორბალი საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილნი მათთვის საუკეთესო წინამორბედი კულტურებით (სამყურა-სელისათვის, იონჯა - ბამბისათვის, მრავალწლიანი ბალახები-ხორბლისათვის). ანეულ - სათოხნი თესლბრუნვები ვერ უზრუნველჰყოფენ აუცილებელი რაოდენობით საკვებ ბალახებს ველებიან მარცვლეულ რაიონებში მზარდი მეცხოველეობისათვის, და ამ რაიონებში კოლმეურნეობათა მეურნეობას სტოვებენ ცალმხრივსა და მცირეშემოსავლიანს, არასაკმაოდ გამძლეს გვალვისა და მშრალი ქარების წინაშე. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახკომისარიატის მიერ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებისათვის შემუშავებული თესლბრუნვები არ ითვალისწინებდნენ მრავალწლიანი ბალახების თესვას, ხოლო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებული თესლბრუნვები, რომლებიც ბალახების თესვას ითვალისწინებდა, მეტწილად დაცული არ იყო. საბჭოთა მეურნეობების თესლბრუნვაში მრავალწლიანი ბალახების არარსებობა ხელს უშლიდა მეცხოველეობის განვითარებისათვის მტკიცე ბაზის შექმნას.

სწორ თესლბრუნვათა შემოღება და ათვისება ამჟამად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლის გადიდებისა და სიმყარისათვის, აგრეთვე მზარდი მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოვებისათვის, განსაკუთრებით გვალვიან ველებიან რაიონებში.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის კომისიას აუცილებლად მიაჩნია:

I. სწორ თესლბრუნვათა შემოღების შესახებ საბჭოთა მეურნეობებში

1. ფართოდ შემოღებულ იქნას როგორც მეცხოველეობის, ისე მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში ბალახმინდვროვანი თესლბრუნვები იმ ანგარიშით, რომ საბჭოთა მეურნეობები ნიმუში გახდნენ კოლმეურნეობებისათვის სწორ თესლბრუნვათა შემოღების საქმეში, რისთვისაც გაფართოვდეს მრავალწლიანი ბალახების ნათესები საბჭოთა მეურნეობებში და აყვანილ იქნას ბალახების ფართობი საბჭოთა მეურნეობის სახკომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში 1942 წლისათვის 3 მილიონ ჰექტარამდე და დაითესის 1938 წელს ერთი მილიონი ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები.

2. მრავალწლიანი ბალახების ნათესის გაფართოვების უზრუნველსაყოფად და სწორ თესლბრუნვათა შემოსაღებად გადიდდეს 1942 წლისათვის ნახნავის ფართობი საბჭოთა მეურნეობების სახკომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში 3.600 ათას ჰექტარამდე ყამირ-მიწებისა და ნასვენის ათვისების ხარჯზე.

3. დაწესდეს მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში ბალახების თესვა ნახნავის 20 პროცენტამდე ოდენობით და ამავე დროს 1942 წლისათვის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების ნათესი გადიდდეს 500 ათასი ჰექტარით.

4. სამხრეთის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს შემოდგომის ხორბალს, არსებული ხუთმინდვროვანი თესლბრუნვები გადაკეთდეს ათმინდვროვნად, რისთვისაც მინდვრები ორად გაიყოს, და გათვალისწინებულ იქნას ამ თესლბრუნვებში შემოდგომის ხორბლის, სულ მცირე, ოთხი მინდორი და მრავალწლიანი ბალახების ორი მინდორი.

5. პოვოლჟიეს და აღმოსავლეთის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში არსებული ხუთმინდვროვანი თესლბრუნვები გადაკეთდეს ათმინდვროვნად, გათვალისწინებულ იქნას რა ამ თესლბრუნვებში ოთხი-ხუთი მინდორი გაზაფხულის ხორბალი და ორი-სამი მინდორი მრავალწლიანი ბალახები, ხოლო არსებული ხუთ მინდორზე მეტის მქონე თესლბრუნვები დატოვებულ იქნას, იქ მრავალწლიანი ბალახების ორი მინდვრის შეტანით.

6. მეღორეობის იმ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებშიაც არსებობენ თესლბრუნვები მრავალწლიანი ბალახებით, თესლბრუნვები არ შეიცვალოს, არამედ უზრუნველყოფილ იქნას ბალახების დათესვა მიღებულ თესლბრუნვების შესაბამისად. მეღორეობის იმ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც ბალახმინდვროვანი თესლბრუნვები არა აქვთ, შემოღებულ იქნას ასეთი თესლბრუნვები, რისთვისაც მიღებული თესლბრუნვის თვითეული მინდორი გაიყოს ორ მინდვრად და უზრუნველყოფილ იქნას სულ მცირე, ორი მინდვრის დათესვა მრავალწლიანი ბალახებით.

7. რძე-ხორცისა და მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში მოხდეს მინდვრების რიცხვის გადიდება ახალი სახნავის ათვისების ხარჯზე, და აყვანილ იქნას მინდვრების რაოდენობა ცხრა-ათამდე იმ ანგარიშით, რომ ამ თესლბრუნვებში იყოს სამი-ოთხი-ხუთი მინდორი მრავალწლიანი ბალახებით.

8. აყვანილ იქნას მებამბეობის ყველა საბჭოთა მეურნეობაში იონჯის დათესვა იმ ოდენობამდე, რაც გათვალისწინებულია მათთვის დაწესებული თესლბრუნვებით.

9. დაწესდეს, რომ კვების მრეწველობის სახკომისარიატის მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობებში მიღებულ შვიდ-რვამინდვროვან თესლბრუნვებში ორი ადგილი უნდა დაეთმოს მრავალწლიან ბალახებს მათ მიერ ერთწლიანი ბალახების ნათესის შეცვლის ხარჯზე.

10. თესლბრუნვას თვითეული საბჭოთა მეურნეობისათვის და თესლბრუნვის ათვისების გეგმას, აგრეთვე არსებულ თესლბრუნვებში მრავალწლიანი ბალახების ნათესის შეტანის გეგმას წლების მიხედვით ამუშავებენ საბჭოთა მეურნეობების დირექტორი და მთავარი აგრონომი და მათ ამტკიცებენ სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარი, სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, კვების მრეწველობის სახალხო კომისარი კუთვნილებისამებრ.

11. თესლბრუნვები უნდა აღინიშნოს საბჭოთა მეურნეობის გეგმაში, რომელიც ინახება ორ ეგზემპლარად: საბჭოთა მეურნეობაში და სათანადო სახ. კომისარიატში. აკრძალულია დამტკიცებული თესლბრუნვის ან მისი ათვისების გეგმის შეცვლა სახ. კომისრის ნებართვოდ.

II. სწორ თესლბრუნვათა შემოღების შესახებ კოლმეურნეობებში

1. გაფართოვდეს მრავალწლიანი ბალახების ნათესები და შემოღებულ იქნას კოლმეურნეობებში სწორი თესლბრუნვები, რომლებითაც გათვალისწინებულ იქნას მრავალწლიანი ბალახების ნათესების აყვანა სსრ კავშირში თესლბრუნვათა სრული ათვისებისას 25-27 მილიონ ჰექტარამდე იმ ანგარიშით, რომ მრავალწლიანი ბალახების გასათიბი ფართობი 1942 წლისათვის აყვანილ იქნას 20-22 მილიონ ჰექტარამდე, ნაცვლად 1937 წლის 4,8 მილიონი ჰექტარისა.

2. მრავალწლიანი ბალახების ნათესის გაფართოვებისა და სწორ თესლბრუნვათა შემოღების უზრუნველსაყოფად გადიდდეს 1942 წლისათვის ნახნავი კოლმეურნეობებში, სულ მცირე, 13 მილიონი ჰექტარით იმ მიწების ათვისების ხარჯზე, რომლებიც გადაეცა კოლმეურნეობებს საბჭოთა მეურნეობებისაგან, და ნასვენისა და მიტოვებულ მიწების ათვისების, ყამირმიწების გატეხის, ამოძირკვისა და ბუჩქნარისაგან გაწმენდის ხარჯზე.

3. დაწესდეს ახალი ნახნავის ათვისების შემდეგი მინიმალური გეგმა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით:

სსრ კავშირი	13.000	ათასი ჰექტ.
რსფსრ	10.150	„ „
უკრაინის სსრ	140	„ „
ბელორუსიის სსრ	200	„ „
აზერბეიჯანის სსრ	150	„ „
საქართველოს სსრ	90	„ „
სომხეთის სსრ	70	„ „
თურქმენიის სსრ	50	„ „
ტაჯიკეთა სსრ	150	„ „
უზბეკეთა სსრ	350	„ „
ყაზახეთა სსრ	1.300	„ „
ყირგიზეთა სსრ	350	„ „
აზოვ-შავი ზღვის მხარე	600	„ „
შორეულ-აღმოსავლეთის მხარე	250	„ „
დასავლეთ - ციმბირის მხარე	2.000	„ „
კრასნოიარსკის მხარე	550	„ „
ორჯონიკიძის მხარე	200	„ „
ვორონეჟის ოლქი	100	„ „
აღმოსავლეთ - ციმბირის ოლქი	600	„ „
გორკის ოლქი	180	„ „
დასავლეთის ოლქი	170	„ „
ივანოვოს ოლქი	80	„ „
კალინინის ოლქი	120	„ „
კიროვის ოლქი	200	„ „
კუიბიშევის ოლქი	140	„ „
კურსკის ოლქი	100	„ „
ლენინგრადის ოლქი	150	„ „
მოსკოვის ოლქი	180	„ „
ომსკის ოლქი	800	„ „
ორენბურგის ოლქი	600	„ „
სარატოვის ოლქი	320	„ „
სვერდლოვსკის ოლქი	250	„ „
ჩრდილოეთის ოლქი	120	„ „
სტალინგრადის ოლქი	400	„ „
ჩელიაბინსკის ოლქი	650	„ „
იაროსლავის ოლქი	170	„ „
თათრეთის ასსრ	30	„ „
ბაშკირეთის ასსრ	350	„ „
დაღესტნის ასსრ	120	„ „
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	180	„ „
ყაბარდო - ბალკარეთის ასსრ	30	„ „
კარელიის ასსრ	10	„ „
კომის ასსრ	20	„ „
მარიისკის ასსრ	40	„ „
მორდოვის ასსრ	50	„ „
ვოლგის მხარის გერმანელთა ასსრ	250	„ „
უდმურტთა ასსრ	50	„ „
ჩეჩენო-ინგუშეთის ასსრ	40	„ „
ჩუვაშეთის ასსრ	30	„ „
იაკუტიის ასსრ	20	„ „

4. ყველა იმ კოლმეურნეობისათვის, სადაც მოხდება არსებულ თესლბრუნვათა გადაკეთება ან ახალი თესლბრუნვათა შემოღება, დაწესდეს მინდვრების ნატურაში გადატანის დამთავრების შემდეგი ვადები კოლმეურნეობების მიერ მიღებულ და დამტკიცებულ თესლბრუნვებთან შეფარდებით:

1939 წ. გაზაფხულისათვის — აზოვ-შავი ზღვის მხარის ყუბანის, ორჯონიკიძის მხარის სტავროპოლის რაიონებში, უკრაინისა და ყირიმის ველებიან რაიონებში;

1940 წ. გაზაფხულისათვის—არაშავნიადაგიანი ზოლის მესელეობისა და მეკანაფეობის კოლმეურნეობებში, აზოვ-შავი ზღვის მხარის დონისა და სალსკის რაიონებში, სტალინგრადის, სარატოვისა და კუიბიშევის ოლქების ვოლგის გაღმა რაიონებში და ვოლგის მხარის გერმანელთა ასსრ-ში;

და 1941 წელს—ყველა დანარჩენ კოლმეურნეობაში.

5. სამხრეთის ველებიან რაიონებში (ყირიმის ასსრ, უკრაინის სსრ-ის ველებიანი ნაწილი, აზოვ-შავი ზღვისა და ორჯონიკიძის მხარეები, ვორონეჟისა და კურსკის ოლქების სამხრეთი ნაწილი), სადაც მარცვლეულის ნათესებში შემოდგომის ხორბალი სჭარბობს და სადაც სიმინდი ან მზესუმზირა ითესება, არსებული ხუთ-ექვს მინდვროვანი თესლბრუნვები გადაკეთდეს თვითეული მინდვრის ორად გაყოფით, და თესლბრუნვაში შეტანილ იქნას იონჯის ორი, ხოლო განსაკუთრებით გვალვიან რაიონებში სამი მინდორი და შემოდგომის ხორბლის, სულ მცირე ოთხი მინდორი.

6. აღმოსავლეთის ველებიან რაიონებში (ჩელიაბინსკის, ომსკის, აღმოსავლეთ - ციმბირის ოლქები, დასავლეთ - ციმბირის, კრასნოიარსკის მხარეები და ყაზახეთა სსრ ჩრდილოეთი ნაწილი) არსებული სამ-ხუთ და შვიდ მინდვროვანი თესლბრუნვები გადაკეთდეს ბალახმინდვროვან თესლბრუნვებად, რისთვისაც სამმინდვრიან კოლმეურნეობებში თვითეული მინდორი დაიყოს სამ მინდვრად, ხოლო ხუთ მინდვრიან კოლმეურნეობებში — თვითეული მინდორი ორ მინდვრად, ხოლო დანარჩენ კოლმეურნეობებში მინდვრების რაოდენობა გადიდდეს ახალი ნახნავის ათვისების ხარჯზე, და შეტანილ იქნას იონჯის ორი მინდორი და გაზაფხულის ხორბლის, სულ მცირე, ოთხი მინდორი.

7. სტალინგრადის, სარატოვის, კუიბიშევის ოლქების **ვოლგის გაღმა რაიონებში**, აგრეთვე ორენბურგის ოლქში, ყაზახსტანისა და ბაშკირეთის ასსრ-ის დასავლეთ რაიონებში არსებულ შვიდმინდვრიან თესლბრუნვებში დაკავებულ იქნას ორი მინდორი იონჯით, ხოლო შვიდზე მეტ მინდვრიან თესლბრუნვებში — ორი ან სამი მინდორი იონჯით, ხოლო ხუთი და ექვსმინდვროვან თესლბრუნვათა მინდვრები გაიყოს ორად და გამოიყოს ორი-სამი მინდორი მრავალწლიანი ბალახებისათვის.

8. მეჭარხლეობის რაიონებში თესლბრუნვები არ შეიცვალოს, ხოლო ერთერთი მინდორი დაკავებულ იქნას სამყურით ან ესპარცეტით.

9. **არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში** იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც სელსა სთესავენ, გაფართოვდეს სამყურის ნათესი ტიმოთეს ბალახით ნახევარმინდვრიდან, როგორც ამას ითვალისწინებს მიღებული შვიდ-რვა მინდვროვანი თესლბრუნვები, მთელ მინდორზე და უზრუნველყოფილ იქნას სელის მთელი ნათესი ორი წლის სარგებლობის ნასამყურალით.

არაშავნიადაგიანი ზოლის იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც სელს არ სთესავენ, შემოღებულ იქნას ანეულის ერთერთი მინდორის ნაცვლად სამყურის მთელი მინდორი ტიმოთეევკის შერევით, მათი ერთი წლით გამოყენებით.

ქვიშა - ნიადაგებზე, განსაკუთრებით ბელორუსიაში, დასავლეთ ოლქში და უკრაინის ჩერნიგოვისა და კიევის ოლქებში დაკავებულ იქნას ანეული ხანჭკოლით — მისი შემდგომი ჩახვნით.

10. **იმ რაიონებში, სადაც სარწყავი ბამბა ითესება** (უზბეკეთა, ტაჯიკეთა, თურქმენეთა, ყირგიზეთა, სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის სს რესპუბლიკები და სამხრეთ ყაზახსტანის ოლქი) გაფართოვდეს იონჯის ნათესები და ამ მიზნით გამოყენებულ იქნას ახლად ათვისებული სარწყავი მიწები იმ ანგარიშით, რომ ახალი მიწების გამოყენების მიხედვით ათვისებულ იქნას სწორი თესლბრუნვები ბამბის ყველა სარწყავ მიწებზე.

11. იმ კოლმეურნეობებში, რომლებშიაც თესლბრუნვები დაწესებული არ არის, შემოღებული იქნება სწორი თესლბრუნვები მრავალწლიანი ბალახების დათესვით ზემოთ მოცემულ მითითებათა შესაბამისად ცალკეული ზონების მიხედვით.

12. დაწესდეს, რომ თესლბრუნვის და მათზე გადასვლის გეგმას ამუშავებს კოლმეურნეობის გამგეობა რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის აგრონომთა და მიწათმომწყობების დახმარებით და ისინი განხილულ და მიღებულ უნდა იქნას კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების მიერ. კოლმეურნეობის საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება—განიხილოს და მიიღოს თესლბრუნვა და მასზე გადასვლის გეგმა, თუ კრებას ესწრება კოლმეურნეობის წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა.

13. როდესაც კოლმეურნეობები გადადიან სწორ თესლბრუნვაზე მრავალწლიანი ბალახების დათესვით, შემოღებულ იქნას, როგორც წესი, რომ:

ა) წინათ, თესლბრუნვის შემოღებისას გამოყოფილი მინდვრები არ ირღვევა, ხოლო ახალ თესლბრუნვაზე გადასვლა ხორციელდება აუცილებელ შემთხვევებში მინდვრების ორად გაყოფის გზით.

ბ) ბალახების ნათესისათვის ანეულების დაკავება ხდება მხოლოდ იმ კოლმეურნეობებში, რომლებმაც გადასჭრეს თავისი მინდვრები სარევი ბალახებისაგან გაწმენდის პრობლემა.

გ) ბალახების ნათესების გაფართოვება ხდება ძირითადად ნახნავის გაფართოვების ხარჯზე, მარცვლეულ კულტურათა ნათესების შემცირება კი დაიშვება მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც არა აქვთ მიწა ნახნავის გასაფართოვებლად და სადაც არ შეიძლება დაშვებულ იქნას ჰავის პირობების მიხედვით ათიული ამა თუ იმ ნაწილის დაკავება ბალახებით.

14. კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ მიღებული თესლბრუნვა, რომელიც განსაზღვრავს მინდვრების რიცხვს და კულტურების მორიგეობას, აგრეთვე მიღებულ თესლბრუნვაზე გადასვლის გეგმა ახალი თესლბრუნვის ათვისების ვადისა და თესლბრუნვის სრულ ათვისებამდე წლების მიხედვით კულტურების განლაგების წესის აღნიშვნით, წარედგინება განსახილველად რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და მათ საბოლოოდ ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისარი, სამხარეო ან საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს უფროსი.

15. რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისარის, სამხარეო ან საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული კოლმეურნეობის თესლბრუნვის გეგმის თანახმად, აძლევს კოლმეურნეობას „მოწმობას თესლბრუნვის შემოღების შესახებ“, რომელიც შეიცავს კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო და სხვა ნაკვეთების გეგმას, თესლბრუნვის მინდვრებისა და იმ მიწების განლაგებას, რომლებიც გამოყოფილია მინდორსაცავი სატყეო ზოლებისათვის და ხეხილის ნარგავებისათვის, აგრეთვე დამტკიცებულ თესლბრუნვაზე გადასვლის გეგმას წლების მიხედვით.

„მოწმობას თესლბრუნვის შემოღების შესახებ“ ხელს აწერენ რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, უფროსი რაიონული აგრონომი და უფროსი რაიონული მიწათმომწყობი და იგი ჩაბარდება კოლმეურნეობის გამგეობას. „მოწმობა“ სდგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს ინახავს კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოლმეურნეობისათვის მიცემულ მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტთან ერთად, ხოლო მეორე ინახება რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებაში.

16. „მოწმობა თესლბრუნვის შემოღების შესახებ“ ეძლევა როგორც იმ კოლმეურნეობებს, რომლებშიაც თესლბრუნვა შემოდის არსებულ თესლბრუნვათა მინდვრების გაყოფის გზით ან ახლად შემოდის, ისე იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც არავითარ ცვლილებებს არ ახდენენ ამჟამად არსებულ თესლბრუნვებში.

„თესლბრუნვის შემოღების მოწმობათა“ გაცემა იმ კოლმეურნეობებში, სადაც თესლბრუნვა ცვლილებებს არ განიცდის, მოხდეს 1938 წლის მანძილზე.

17. დაწესდეს, რომ მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობას მიეცემა „მოწმობა თესლბრუნვის შემოღების შესახებ“, კოლმეურნეობისათვის დამტკიცებული თესლბრუნვა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახ. კომისრის ნებართვით.

III. ბალახების თესლის წარმოების უზრუნველყოფის შესახებ

სწორ თესლბრუნვათა შემოღებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვები რესურსების გაფართოვებისათვის მრავალწლიანი ბალახების მნიშვნელობის შეუწყნარებელი შეუფასებლობის შედეგად, რაც სსრ კავშირის მიწსახკომმა და საბჭოთა მეურნეობების სახ. კომისარიატმა გამოიჩინეს, ბალახების თესვა და აღება სწარმოებს დიდი დაგვიანებით, ხოლო მათი ჯეროვანი მოვლის უქონლობა იწვევს ბალახების დაბალ მოსავლიანობას როგორც თივის, ისე, განსაკუთრებით, თესლის მხრივ. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი სამყურის, იონჯისა და სხვა მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობა.

იმისათვის, რომ მრავალწლიანი ბალახების მზარდი ნათესები უზრუნველყოფილ იქნას თესლით, სსრ კავშირის მიწსახკომმა და საბჭოთა მეურნეობების სახ. კომისარიატმა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. მოაწყონ 1938 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათესლე ნაკვეთები და ამ მიზნისათვის პირველ რიგში გამოიყენონ თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლი. იონჯისა და სხვა მრავალწლიანი ბალახების თესლის სახელმწიფო რესურსები გამოყენებულ იქნას, როგორც წესი, სათესლე ნაკვეთების მოსაწყობად იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც მრავალწლიან ბალახებს არა სთესავდნენ, იმ ანგარიშით, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიყვანონ და უახლოეს ორ-სამ წელიწადში უზრუნველჰყონ თესლით ბალახების მთელი სათესი ფართობი, თანახმად დაწესებული თესლბრუნვისა.

2. მოახდინონ აღრიცხვა და გვალვისადმი გამძლეობის შეფასება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ დათესილი მრავალწლიანი ბალახების ყველა ჯიშისა და გამოარჩიონ მათგან ისინი, რომლებმაც თავი გვიჩვენეს როგორც ყველაზე გამძლეებმა 1936 წლის პირობებში, და მოაწყონ მისი დამზადება იმ ანგარიშით, რომ ეს თესლი გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ სათესლე ნაკვეთების მოსაწყობად გვალვიანი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

3. ბალახების ჯიშიანი თესლის დაჩქარებით გასამრავლებლად, აგრეთვე ისეთ მცირედგავრცელებულ კულტურათა თესლის წარმოებისათვის, როგორიც არის ყვითელი იონჯა, „ჟიტნიაკი“, რაიგრასი, ამერიკული ჭანგა და სხვები, გამოიყოს და შეიქმნას სპეციალურ სამეთესლეო საჯიშეთა ქსელი ამ მიზნით შერჩეულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

მოეწყოს 1938 წლიდან თვითეულ სამეთესლეო საჯიშეში სპეციალური სამეთესლეო ბაზები ან დამამზადებელი პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო შენობებითა და თესლის გასაწმენდი მანქანებით.

IV. სწორი თესლბრუნვების შემოსაღებად კადრების მომზადების შესახებ

1. სწორ თესლბრუნვათა შემოსაღებად აგრონომთა და მიწათმომწყობთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 1937—38 წ. თვითეულ რესპუბლიკაში, ოლქსა და მხარეში მოეწყოს კურსები რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა აგრონომებისა და მიწათმომწყობების და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აგრონომების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების მიწათმომწყობებისა და თითო აგრონომის გადასამზადებლად, აღნიშნული კურსების დამთავრების შემდეგ სწორ თესლბრუნვათა შემოღებისა და ათვისების საკითხებზე სპეციალური გამოცდის აუცილებლად ჩაბარებით.

2. ბალახთესვისა და ბალახების მეთესლეობის დარგში აგრონომიული პერსონალის მოსამზადებლად შემოღებულ იქნას ყველა აგრონომიულ უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში ბალახების კულტურის კურსი.

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის კომისია.

სანდლერის განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოკჰოლმი, 14 ივლისი (საქტასი). შვეციის გაზეთები აქვეყნებენ შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრ სანდლერის შემდეგ განცხადებას მოსკოვში ყოფნის შესახებ.

„ჩემი ოფიციალური დარბაზობა მოსკოვში, საიდანაც მე ახლა დავბრუნდი, არ იყო დაკავშირებული რაიმე სპეციალურ საკითხებთან, რომლებიც უშუალოდ ეხებიან შვეცია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ეს ურთიერთობა ნორმალურად მიმდინარეობს, და ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კვლავაც კეთილსასურველად განვითარდება. უკანასკნელი მიღწევა ამ ურთიერთობის განვითარებაში—მიმოსვლის გაუმჯობესება სსრ კავშირსა და შვეციას შორის, სახელდობრ: ავიახაზის გახსნა, რასაც დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ორივე ქვეყანაში. ჩემი დარბაზობა მოსკოვში, ისევე როგორც შვეციის მეზობლად მყოფ სხვა ქვეყნების დედაქალაქებში დარბაზობა, ატარებდა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ურთიერთ ინფორმაციის ხასიათს იმ მიზნით, რათა გამორკვეულ იქნეს საერთაშორისო თანამშრომლობის პირობები და მეთოდები. ამასთან ორივე ქვეყანა იქიდან გამოდიოდა, რომ მათი თანამშრომლობის გზაზე არ მოიპოვება არცერთი სადავო საკითხი, ორივე მხარემ სურვილი გამოსთქვა შემდეგშიაც განაგრძონ ეს თანამშრომლობა. ჩემი ამოცანა ცხადია, იმაში მდგომარეობდა, რომ განმემარტა შვეციის საგარეო პოლიტიკის პრინციპი ხალხთა შორის თანამშრომლობის საფუძველზე, აგრეთვე გავცნობოდი საბჭოთა კავშირის პოზიციას საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებისა და გახვიერების საკითხზე. ის გარემოება, რომ ორივე ქვეყანა ერთა ლიგის წევრია, ამ მოლაპარაკებას, ცხადია აყენებდა ერთა ლიგის ფარგლებში. მაგრამ, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, ეს მოლაპარაკება გასცილდა ერთა ლიგის ფარგლებს, ვინაიდან ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკა არ შეიძლება განვიხილოთ ლიგის არაწევრ სახელმწიფოთა პოლიტიკისაგან განცალკევებულად.

იმ მნიშვნელოვან საკითხებს შორის, რომლებიც განხილულ იქნა მოსკოვში, მე დავასახელებ შვეციის დამოუკიდებელი პოლიტიკის ნეიტრალური ორიენტაციის საკითხს, აგრეთვე ზოგიერთ საკითხებს, რომლებიც ერთა ლიგის წესდების რეფორმას შეეხებიან. ის საკითხები, რომლებიც მოსკოვში აღვძარი, როდი წარმოადგენენ შვეციის საზოგადოებრიობისათვის ახალ საკითხებს,—პირველ ყოვლისა არის შვეციის იმ პოლიტიკის ტრადიციული ორიენტაციის საკითხები, რომელიც დამყარებულია სკანდინავიის ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთგაგებაზე. ამის საფუძველი მდგომარეობს არა იმაში, რომ გამოყენებულ იქნას არაკეთილმეზობლური ურთიერთობათა შექმნის მიზნებისათვის, არამედ იმაში, რომ შექმნას ურთიერთგაგება ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში და კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს ერთა ლიგის შიგნით. ის შეხედულებანი, ერთა ლიგის მუშაობაზე, რომლებიც მე მოსკოვში წარვადგინე, ამასწინათ გახდა რიკსდაგის მსჯელობის საგნად და ამიტომ ისინი ცნობილია შვეციის საზოგადოებისათვის.

ყველა ამ საკითხზე სწარმოებდა მოლაპარაკება მოსკოვში. ჩემის აზრით, ამ მოლაპარაკებას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა მისი გულახდილი მეგობრული ხასიათის გამო. მე ვფიქრობ, რომ მოსკოვში ჩემი დარბაზობის შედეგები მნიშვნელოვანია იმით, რომ, საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ხელმძღვანელებთან პირადი საუბრის მეოხებით, მე შესაძლებლობა მომეცა გამომერკვია მათი თვალსაზრისი აწინდელი მდგომარეობის საკითხებზე. ამას გარდა, მე მივიღე ზოგიერთი პირადი შთაბეჭდილება საბჭოთა კავშირის მატერიალურ და კულტურულ განვითარებაზე. მე დავბრუნდი იმაში დარწმუნებული, რომ ჩემმა დარბაზობამ მოსკოვში ორმხრივი სარგებლობა მოიტანა. როდესაც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლიტვინოვი საპასუხო ვიზიტით ჩამოვა შვეციაში, იგი აუცილებლად ჰპოვებს აქ ურთიერთგაგებისაკენ ჩვენი მისწრაფებისა და სურვილის შემდგომ დამამტკიცებელ საბუთებს, რომელიც მე ამასწინათ წარვადგინე სსრ კავშირის დედაქალაქში და რომლებმაც იქ ჰპოვეს სრული თანაგრძნობა, რაც გამოხატულ იქნა ჩვენი ქვეყნისადმი საბჭოთა კავშირის მეგობრული დამოკიდებულებით“.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

თანახმად ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ნაკრები ცნობისა, რომელიც 14 ივლისს საღამოთი გამოქვეყნდა, რესპუბლიკელთა ჯარები სიერა გვადარამის სექტორში ბრძოლით წინ მიიწევენ.

14 ივლისი აღინიშნა რესპუბლიკელთა ავიაციის აქტიური მოქმედებით. 11 საათსა და 45 წუთზე რესპუბლიკელთა თვითმფრინავების ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა სოფელ ვილაფრანკა დელ კასტილიოს (მადრიდის დასავლეთით).

12 საათსა და 42 წუთზე რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მახადაონდას და მის მიდამოებს. 16 საათზე რესპუბლიკელთა 5 თვითმფრინავმა რობლედო დე ჩაველასთან შეუტია მტრის საბარგო ავტომობილების კოლონას, სხვა 5 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა პუნქტებს ნავალგამელს და ფრესნედილიას. თავის ბაზებზე დაბრუნებისას ამ თვითმფრინავებს უშედეგოდ შეუტია ფაშისტთა 18 ავიაგამანადგურებელმა.

18 საათსა და 45 წუთზე რესპუბლიკელებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები მახადაონდას და ვილაფრანკა დელ კასტილიოს. ამ სოფლისათვის ყუმბარების დაშინების შემდეგ ჩამოგდებულ იქნა რესპუბლიკელთა ორი თვითმფრინავი, რომლებსაც შეუტია ფაშისტთა 7 თვითმფრინავმა.

ჩრდილოეთის ფრონტი

როგორც ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 14 ივლისის ნაკრებ ცნობაში იუწყებიან, სანტანდერის უბანზე, სოფელ პედროსის მიდამოებში, რესპუბლიკელთა 12 თვითმფრინავმა 13 ივლისს ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა საბარგულს.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანის სააგენტოს ბარსელონიდან გადმოცემული ცნობით, აღმოსავლეთი არმიის სარდალმა გენერალმა პოსასმა განაცხადა, რომ 14 ივლისს რესპუბლიკელთა რაზმებმა გაილაშქრეს ლას სალინასის ახლოს და მტერს მოულოდნელად თავს დაესხნენ. პინის რაიონში მოხდა რესპუბლიკელთა რაზმების შეტაკება მეამბოხეებთან. რესპუბლიკელებმა მოიგერიეს იერიშები მტრისა, რომელიც ცდილობდა რესპუბლიკელთა ჯარების ზურგში შეჭრას.

თავდაცვის განმტკიცების სესხი

მახარაძე, 16 ივლისი, (**ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.**) მახარაძის რაიონში თავდაცვის განმტკიცების სესხზე ხელისმოწერა დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

სესხზე ხელისმომწერთა რიცხვმა 16 ივლისისათვის 19.097 მშრომელს მიაღწია. გავრცელებულია 1.536.000 მანეთის სესხი, აქედან კოლმეურნეობებში 533.000 მანეთისა.

სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

მ. დარჩია

19 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქფილექთის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 123) შესდგება თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების **საბჭოს პლენუმი.**

იქვე, საღამოს 7 საათზე — საბჭოს პლენუმის პარტჯგუფის სხდომა.

საბჭოს ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

სახალხო ჯანმრთელობის გუშაგები

პროფ. კლ. ცომაია

წლითი-წლობით ძლიერდება სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ფრონტი. ჩვენი ქვეყანა მოიფინა ჯანმრთელობის დაცვის სამჭედლოებით: პოლიკლინიკებით, დისპანსერებით, ამბულატორიებით, საექიმო პუნქტებით. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი იმდენად ფართოდ არის გაშლილი, რომ მისი სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით უზრუნველყოფა ადვილი საქმე როდია.

„პედაგოგიური და სამედიცინო ფაკულტეტები" მივიწყებულია. ეს დიდი ნაკლია, რაც სახელმწიფოს ინტერესების დარღვევას უდრის. ამ ნაკლს აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო. და რაც უფრო ჩქარა გაკეთდება ეს, მით უკეთესია". დიდი ბელადის ეს მითითება ჯერ კიდევ ვერ განვახორციელეთ სრულად. მაგრამ ხალხთა დიდი ბელადის ეს მითითება მთავარი ბერკეტი და გზის მაჩვენებელი იყო სამედიცინო განათლების სწრაფი აღმავლობისათვის. ამ მითითების შემდეგ სამედიცინო განათლების, ექიმთა კადრების მომზადების დარგში დიდი წარმატებები მოვიპოვეთ.

მართალია, ვაუმჯობესებთ სამედიცინო ინსტიტუტის მუშაობას, ვაძლიერებთ ახალგაზრდა ექიმთა კვალიფიკაციას, ვაღრმავებთ მათს ცოდნას, ვუნერგავთ საექიმო გამოცდილებას, მაგრამ წლითი-წლობით იზრდება საბჭოთა ექიმებისადმი წაყენებული მოთხოვნებიც და ამ მხრივ ჩვენ ჯერჯერობით ვერ გვაკმაყოფილებს მათი მომზადების დონე.

ჩვენი ინსტიტუტი წელს მეთექვსმეტედ აწვდის ქვეყანას ექიმთა ახალ კადრებს. ამ გამოშვებით სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ფრონტმა 422 ახალგაზრდა ექიმი მკურნალი და პედიატრი მიიღო. წლევანდელი გამოშვება, თავისი ხარისხითაც და რაოდენობითაც, დიდად განსხვავდება წინა წლების გამოშვებათაგან. კურსდამთავრებულებს სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ გაცილებით მეტი თეორიული ცოდნა და კლინიკური გამოცდილება მოსთხოვა. შედეგები შედარებით დამაკმაყოფილებელი და შარშანდელზე უკეთესი მივიღეთ. თუ შარშან ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 2,3 პროცენტმა მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი, წელს ასეთების პროცენტი 4,5-მდე გაიზარდა.

ამ გამოშვების შედარებით მაღალი ხარისხი უზრუნველჰყო იმ განსაკუთრებულმა ყურადღებამ და ხელმძღვანელობამ, რომელსაც ჩვენი პარტია და ხელისუფლება სამედიცინო განათლების მიმართ იჩენენ. განსაკუთრებით დიდი იყო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პირადად ამხ. ლ. ბერიას მზრუნველობა ჩვენი ინსტიტუტის შემდგომი კეთილდღეობისათვის. მათ ყოველგვარი პირობა შექმნეს იმისათვის, რომ ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები დაეუფლებოდნენ სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს, გამოსულიყვნენ საბჭოთა ქვეყნის შესაფერისი ექიმები.

ახალგაზრდა ექიმებმა, რომლებიც უკვე მიდიან სამუშაოდ, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ და თავის ყოველდღიურ სამუშაო პროგრამად უნდა გაიხადონ ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენების გამო პარტიის მე-10 ყრილობის დადგენილება, სადაც ნათქვამია: „ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში მთავარი ყურადღება მიექცეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხს და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას". ამ დადგენილების სავსებით განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული ახლად კურსდამთავრებული ექიმების მონდომებულ და უნარიან მუშაობაზე. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სოციალისტურ ქვეყანაში ყველაზე უფრო ძვირფასი კაპიტალია ადამიანი, რომელიც გამთბარია სტალინური მზრუნველობითა და საყოველთაო ყურადღებით. ამიტომ საბჭოთა ექიმის ვალია, თვალისჩინივით უფრთხილდეს ადამიანს, უფრთხილდებოდეს მის ჯანმრთელობას, მზრუნველობითა და გულისხმიერებით ეპყრობოდეს მას.

თვითეული ექიმის მოვალეობაა იყოს ფხიზელი, ყოველთვის მზად იყოს საკადრისი პასუხი გასცეს ხალხის მტერთა საზიზღარ ნაბოლარებს, რომელნიც აქა-იქ კიდევ არიან დარჩენილნი და ცდილობენ თავიანთი ბინძური ხელებითა და დორბლით წაბილწონ, ხელი შეუშალონ სოციალისტური ქვეყნის შემდგომ აყვავებას.

ახალგაზრდა ექიმები, მიდიან რა ჯანმრთელობის ფრონტზე სამუშაოდ, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გაამართლებენ საბჭოთა ექიმის საპატიო მოვალეობას და მით ჩვენი ინსტიტუტის ავტორიტეტს კიდევ უფრო აამაღლებენ.

მოწინავეთა სიტყვა

(სამტრედია, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

29 ივნისს პარტიის რაიონულ კომიტეტში მოწვეულმა მოწინავე მემინდვრე ბრიგადირების თათბირმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახა სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

— ჩვენ — სთქვა ჭაგნის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირმა ამხ. ლომიძემ — კარგად შევიგნეთ ამხ. ლ. ბერიას საბრძოლო დავალება — 1940 წლისათვის საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის შესახებ. ამ მხრივ უკვე გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯი და ვიბრძვით მაღალი მოსავლისათვის. სიმინდის ნათესები ორჯერ გავთოხნეთ, უნდა გავთოხნოთ მესამედაც. ამიტომ სიმინდის ყანები ახლა ზღვასავით ღელავენ და გეგმით მოცემული 14 ცენტნერის ნაცვლად წელს უსათუოდ მივიღებთ ჰექტარზე 20 ცენტნერს.

ასევე განაცხადეს თათბირზე წარჩინებულმა ადამიანებმა — საუკეთესო ბრიგადირებმა: ამხ. ვ. ჩახავამ, შ. ტონიამ, კვერნაძემ, გეგეშიძემ, მსხილაძემ, ლეკვეიშვილმა, თარგამაძემ, გუძუაძემ და სხვ.

მოსავლიანობის ერთი-ორად გადიდება, — აი რა ლოზუნგი წამოაყენეს თათბირზე დამსწრეებმა.

შეიძლება თუ არა ამის მიღწევა? დიახ, შეიძლება!

ჩვენი დიადი სამშობლოს მტრების საპასუხოდ სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობები შეასრულებენ ამას. თათბირის ლოზუნგმა სათანადო გამოხმაურება ჰპოვა კოლმეურნეთა შორის. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, ჯგუფი—ჯგუფს, კოლმეურნეობა-კოლმეურნეობას ნათესთა უკეთესად დამუშავებაში.

ივ. ტაბიძე.

მზადება საკავშირო სას.-სამ. გამოფენისათვის

მოვიპოვოთ გამოფენაზე მონაწილეობის უფლება

მ. სიხარულიძე

თელავის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში

თელავის რაიონს საკავშირო სას.-სამ. გამოფენაზე სამი ძირითადი მაჩვენებლით შეუძლია წარსდგეს: მევენახეობით, მემინდვრეობითა და მესაქონლეობით. ამ მნიშვნელოვანი საკითხის ფართოდ გასაცნობად კოლმეურნეებისა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომმა მოიწვია სარაიონო შეკრება. შეკრებაზე ამ საკითხის ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ს. კარსანიძე.

კამათიდან გამოირკვა, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები (აკურა — თავმჯდომარე ამხ. ვ. კანაშვილი), სანიორე (თავმჯდომარე ამხ. თათუღლოვი), შალაური — „შრომა" (თავმჯდომარე ა. გრემელაშვილი) კარგად ემზადებიან გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა არ არის. ზოგიერთი კოლმეურნეობა ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობის შედეგად, ძალიან ცუდად ემზადება და სამარცხვინო მაჩვენებლებით ხასიათდება. მაგალითად, სოფ. იყალთოს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქურქულაძემ მოატყუა რაიონი საშემოდგომო ხორბლეულის გეგმის შესრულებაში; კოლმეურნეობას გეგმით უნდა დაეთესა 50 ჰექტარი. სინამდვილეში დათესა 30 ჰექტარი, რაიონს კი მიაწოდა ცნობა 50 ჰექტარის დათესვის შესახებ. ვერც სიმინდის თესვის გეგმაც შეასრულა და, რაც დათესა, ისიც ჯერ გაუთოხნელია.

ვანთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ქევხიშვილი) ყურადღება არ ექცევა სათოხნ კულტურათა ნათესების დამუშავებას. ამ კოლმეურნეობას თესვის გეგმაც არ შეუსრულებია მთლიანად.

ეს გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად ერთერთი მთავარი მაჩვენებელთაგანია მოსავლის გადიდება. ამის მისაღწევად მთავარია მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება, მაგრამ მოიპოვებიან კოლმეურნეობის ისეთი თავმჯდომარეები, რომლებიც უდარდელობას იჩენენ ამ საკითხში. ნაფარეულის მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. ხუციშვილი) დღიხანია უნდა დაემთავრებინა ქერის აღება, ხოლო ცხენის სამკელი შეუკეთებელი აღმოჩნდა და ქერი დღესაც აუღებელია.

ფაქტები მოწმობენ, რომ რაიონში მოსავლის აღება დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს. საჭიროა მუშაობის დამკვრელურად გაჩაღება, რადგან ხშირი წვიმებისა და შემდეგ მზიანი ამინდების გამო თავთავიანი კულტურების მომწიფება ერთბაშად მოხდა.

საკავშირო სას.-სამეურნეო გამოფენისათვის მემინდვრეობის შემდეგ ერთერთ ძირითად მაჩვენებლად რაიონში მევენახეობა ითვლება. ამ მხრივ მდგომარეობა რაიონში კარგია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კონდოლისა და რუისპირის კოლმეურნეობებს, სადაც ვენახები ცუდად აქვთ მოვლილი.

მესაქონლეობის მხრივ რაიონში მთლიანად არც ისე ცუდი მდგომარეობაა. მაგრამ აქაც არიან კოლმეურნეობები, რომლებიც მესაქონლეობის განვითარების დარგში მავნებლურად მოქმედებენ. სოფ. მატნის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ვ. დოინჯაშვილი) მეღორეობის ფერმაში წელს ნამატი 47 პროცენტით შემცირდა. ახმეტის კოლმეურნეობა „პირველ მაისში" (ყოფილი თავმჯდომარე ს. მესხიშვილი) ნამატის კლება 25 პროცენტს უდრის. ასეთივე მდგომარეობაა მატნის ჟუღელის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ოსკანოვი). ახმეტის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ჭუაძე) დახოცეს 10 მეტი სული მსხვილფეხა პირუტყვი.

ცუდად გამოიყურება ზემო-ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ცხელიშვილი) მეცხვარეობის ფერმა. აქ მოუვლელობით დახოცეს ჯიშიანი 9 ყოჩი, ჩაშალეს მეტიზაციის გეგმა და სხვ.

ძალიან ცუდად არის საფურე ხბოების კონტრაქტაციის გეგმის შესრულება. დღემდე რაიონს გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 1 პროცენტით, რაც სამარცხვინოა, განსაკუთრებით რაიმიწგანის (გამგე ამხ. კოხტაშვილი) მუშაკებისათვის და კერძოდ ამ დარგის ხელმძღვანელის გ. ცინცაძისათვის. იგი ამ საქმეს უკანასკნელად ცუდად ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება მტს-ის ხაზით საკავშირო სას.-სამ. გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მოპოვებას, მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ საამისოდ გაშალა წინასწარი მუშაობა. საკავშირო სას.-სამ. გამოფენის კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული მაჩვენებლები დამუშავდა ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, სატრაქტორო ბრიგადირთა, კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ აგრონომთა და მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა სარაიონო შეკრებაზე. თუ მტს-ის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფორგანიზაციებმა ყოველდღიურად უხელმძღვანელეს ამ საქმეს, ეჭვს გარეშეა, რომ მთელი რიგი მომუშავეები მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაზე. ამის მაგალითს იძლევიან ამხ. მ. გარაყანიძის, გ. სიხარულიძისა და შ. ნადირაძის სატრაქტორო ბრიგადები, რომლებიც ანეულის ხვნაზე საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან. კომბაინერი მიტო გიგოლაშვილი, ტრაქტორისტები: ა. კირვალიძე, ხარიტონაშვილი, პეპინაშვილი, ქოზაშვილი და წულუკიძე გადაჭარბებით ასრულებენ სამუშაო ნორმებს. ამხ. მრელაშვილის სატრაქტორო ბრიგადა, რომელმაც მიმდინარე წლის საგაზაფხულო გეგმა 47,2 პროცენტით შეასრულა და 6.612 კილოგრამი საწვავი გადახარჯა, არათუ მონაწილეობას ვერ მიიღებს გამოფენაზე, არამედ თუ მან უმოკლეს ვადაში არ გამოასწორა ეს სამარცხვინო ჩამორჩენა, დირექცია მოუხდება ამ ბრიგადაზე მსჯელობა.

საჭიროა ყველა ამ ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა, რათა მოვიპოვოთ საკავშირო სას.-სამ. გამოფენაზე მონაწილეობის უფლება.

მოსავლის აღება კომბაინით ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს. სურათზე: კომბაინერი მენთეშაშვილი საჭესთან.

ფოტო „სოიუზფოტოს" საქ. განყ.

ხიმოტე ბერძიშვილი

ილიას ეზო ყვარელში

აჰა, ის ეზო, რომლის უბეში
წამოჭიმულა ჯმუხა კაკალი,
აქ დარწეულა, როგორც ნუგეში
დღეს სატრფიალო შენი ჰკვანი.

აქ გიმღეროდა მშობელი ნანას
და გულს გტაცებდა ზღაპრები შველი.
როცა გლეხები მომკიდნენ ყანას,
შემდეგ ვენახის გიყვარდა რთველი.

ხან კი, გასცქეროდი დაფიქრებული
ნოხებათ გაშლილ კახეთის ველებს.
ქართველთა ბედით გაფითრებული
მთიდან „აჩრდილი" გიქნევდა ხელებს.

შენი სამშობლო გულით გიყვარდა,
მის მომავალის ცეცხლით იწოდი,
თუ გიმუხთლებდა ხალხის მტერი და
ტყვიას გესროდა შენ რა იცოდი...

რაც დაგვითესე, საზრდოთ ეყოფა
საუკუნეთა გადაშლილ ფესვებს;
ნეტავ გენახა ჩვენი ეპოქა,
ვიცი სტალინსაც უმღერდი ლექსებს...

თუმცა გაბედა მხეცმა ხელყოფა,
მაგრამ ვერ მოსპო მუხის ფესვები.
ნეტავ გენახა ჩვენი ეპოქა,
რომ სტალინზედაც გეთხზა ლექსები.

საგარეჯომ რა „დაამავა"?

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

რაიონული ცენტრი სრულიად მოუწყობელია. თვით მთავარი ქუჩა ნიაღვრით დათხრილი ღორღიანი ნაადგილევის შთაბეჭდილებას სტოვებს. გაუსუფთავებელი ეზოები, მინგრეულ-მონგრეული ქუჩა,—ყოველივე ეს „ნალაშქრევი" სოფლის შთაბეჭდილებას სტოვებს.

არ არის აბანო, დანგრეულია და უყურადღებოდაა მიტოვებული ზოგიერთი სკოლების შენობები. რამდენიმე ადგილას დაიწყეს სკოლების მშენებლობა, მაგრამ 7-8 წელია ჭიანურდება მათი დამთავრება. არ არის კულტურულად მოწყობილი კლუბი, სადაც შეიძლებოდეს კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლა, წრეობრივი მუშაობის მოწყობა.

არ არის სამკითხველო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცუდად მოწყობილ პარტკაბინეტს.

ასეთი მდგომარეობაა რაიონის ცენტრში, უფრო უარესია სოფლად. არის სოფლები, სადაც არც კლუბი აქვთ, არც სამკითხველო, არც წითელი კუთხე (ნინოწმინდა, აბულაღი, გიორგიწმინდა და სხვ.).

პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი ამ საკითხს არასერიოზულად უყურებენ, რატომღაც თავის საქმედ არა სთვლიან. გადახედეთ რაიკომის ბიუროს დღის წესრიგს. იქ ნახავთ საკითხებს თესვის, მკის, მარცვლეულის ჩაბარების შესახებ, მაგრამ იშვიათად ნახავთ საკითხს კულტურული მუშაობის და კომუნალური მშენებლობის შესახებ. შემთხვევით თუ იქნება მოხსენიებული რაიონის კეთილმოწყობის საქმე, მაშინ როდესაც კომუნალური მშენებლობის მხრივ საგარეჯოს რაიონში ცოტა კეთდება, და თუ კეთდება რამე, ყოვლად უხეიროდ და უმსგავსოდ.

მოვიყვანოთ ფაქტები.

ოთხი წელიწადია შენდება აბანო და მის დამთავრებას არა ეშველა რა. ბანკის მშენებლობა დიდიხანია დაწყებულია, მაგრამ ბოლოხანს რატომღაც თავი მიანებეს. განიზრახეს ბაღის გაშენება საგარეჯოს ცენტრალურ ქუჩასთან. დაიწყეს კიდევაც ეს მშვენიერი საქმე, მაგრამ თავი ვერ გაართვეს და ნახევრად გაშენებული ბაღი მოუვლელად დასტოვეს.

ასევე მოუვლელ მდგომარეობაშია სასტუმრო, რომელიც ორი ოთახისაგან შესდგება. განსაკუთრებით უპატრონოდაა მიტოვებული საბინაო მშენებლობა. რაიონული გაზეთის რედაქცია ფიცრებით მიშენებულ ნესტიან და სრულიად შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული, სატყეო განყოფილება „ფაცხაშია" მომწყვდეული.

ასეთი ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ რაიონული ხელმძღვანელობა სერიოზულად ჩაუფიქრდეს მდგომარეობას, მიიღოს პრაქტიკული ღონისძიებანი რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ორდენოსანი საქართველოს რაიონული ქალაქები სწრაფად იცვლიან სახეს, კომუნალური მშენებლობა ფართოდაა გაშლილი. შენდება სოციალისტური ქალაქები, გაჩაღებულია კულტურული მუშაობა.

იბადება კითხვა: საგარეჯომ რა „დაამავა"?

წყალსადენის მშენებლობა ფერხდება

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქალაქ ფოთი წყლით მარაგდება ნოსირის ცივი წყლის აუზიდან, რომელიც ფოთიდან 42 კილომეტრითაა დაშორებული. პროექტის თანახმად წყალსადენის გამტარუნარიანობა შეადგენს წამში 212 ლიტრს, რაც სასმელი წყლით დააკმაყოფილებს აგრეთვე ნოსირიდან ქალ. ფოთამდე მდებარე რკინიგზის სადგურებსა და სოფლებს.

წელს მუშაობა სწარმოებს პირველი რიგის წყალსადენის მშენებლობისათვის, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს ფოთის მოთხოვნილებას წყალზე.

პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების ვადად მთავრობის მიერ დაწესებული იყო მიმდინარე წლის 15 ივლისი. პროექტები შეკვეთილი ჰქონდა „საქკომუნპროექტს", რომელსაც ხელშეკრულების თანახმად მშენებლობის ყველა ობიექტის პროექტები უნდა ჩაებარებინა მიმდინარე წლის 15 მარტისათვის. ეს პირობა შესრულებული არ არის. 23 მაისს მშენებლობას ჩაბარდა მხოლოდ სატუმბო და საქალაქო ქსელის პროექტი. ეს ძალიან აფერხებს მშენებლობას.

ვერც მშენებლობის ხელმძღვანელობამ მიიღო საჭირო ზომები არსებული შესაძლებლობის გამოსაყენებლად. მაგალითად, ნოსირში საშახტო ჭების მშენებლობა უნდა დაემთავრებინათ 20 ივნისს, ნამდვილად კი 15 ივლისს შესრულებული იყო 20 პროცენტით. მილსადენის მშენებლობა დღემდე მთლიანად უზრუნველყოფილი არ არის მილებით.

კიდევ უარეს მდგომარეობაშია მეორე სატუმბო სადგურისა და რკინა-ბეტონის რეზერვუარის მშენებლობა, აქ ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის ნიადაგის წნევითი გამძლეობა, რის გამო კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა მუშაობა შეაჩერა.

მუშაობას ისიც აფერხებს, რომ „საქმშენი", რომელიც მშენებლობას საიჯარო წესით აწარმოებს, დროულად არ ამარაგებს მშენებლობას საშენი მასალით.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მშენებლობის ხელმძღვანელობამ დღემდე არ იცის, რომელ ქარხნიდან მიიღებს წყალსადენის ელექტრომექანიკურ მოწყობილებას, რაც ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნის მშენებლობის დროულად დამთავრებას.

მშენებლობაზე ძალიან მოისუსტებს პარტმასობრივი მუშაობა. ყურადღება არ ექცევა სტახანოვურ მოძრაობას. მშენებლობაზე მომუშავე 200 მუშა-მოსამსახურიდან არცერთი არ არის ჩაბმული პოლიტსწავლებაში, აგიტატორები სისტემატურად არ უკითხავენ მშენელთ გაზეთებს.

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა და ფოთის საბჭომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ფოთის წყალსადენის მშენებლობას.

გრ. ბოლქვაძე.

გრ. შენგელია

მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე

მევენახეობა მესამე ხუთწლედში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით კი უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მევენახეობის აღმავლობას. ამ ხნის განმავლობაში ფილოქსერასთან ბრძოლას მიექცა და ამჟამადაც ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ფილოქსერის გამძლე ამერიკული ვაზის სადედეებს. 1921 წლიდან 1937 წლამდე გაშენდა 18.245 ჰექტარი ახალი ვენახი, დამყნილი ფილოქსერის გამძლე საძირეებზე. ეს შეადგენს ამჟამად არსებული ვენახების ფართობის (39.205 ჰექტარი) 46,5 პროცენტს.

ამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლიც. მესამე ხუთწლედის გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა სწორედ ის ზომები, რომლებიც ბოლოს მოუღებენ ამ ნაკლოვანებებს.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ვენახის ფართობების დაქსაქსულობა. ვენახის ერთი ნაკვეთის საშუალო ოდენობა 0,12 ჰექტარს არ აღემატება. ნაკვეთთა დაქსაქსულობა დიდად უშლიდა ხელს მექანიზაციის ფართოდ დანერგვას მევენახეობის სამუშაოებში. ხოლო უკანასკნელ წლებში დაიწყო ვენახის მსხვილი მასივების შექმნა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ვენახის დაბალი მოსავლიანობისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის მიღების ერთერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მრავალჯიშიანობა. საქართველოში სულ ვაზის 158 ჯიში მოიპოვება.

1921 წლამდე დარგული ვენახები დაუმყნელად არის გაშენებული, დაავადებულია ფილოქსერით და იძლევა ძალიან დაბალ მოსავალს, რაც საგრძნობლად ამცირებს ვაზის საშუალო მოსავლიანობას მთელ რესპუბლიკაში. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ 1936 წ. საშუალო მოსავლი ჰექტარზე 35 ცენტნერს შეადგენდა, როცა ფილოქსერის გამძლე ნარგავებმა მოგვცეს უფრო მეტი მოსავალი.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა ვენახის ფართობის სათანადოდ დაუმუშავებლობისა. ამის გამო ვენახის ნარგავებში ვხვდებით მოძალებულ სარეველა ბალახებს. ვენახებში ვხვდებით აგრეთვე მწკრივთაშორის დათესილ ბოსტნეულისა და მარცვლეულის კულტურებს. ჯერ კიდევ არასაკმაოდ იყენებენ სასუქებს, ვაზს დროზე არ სწამლობენ, ცუდად არის დაყენებული მავნებლებთან ბრძოლა.

ძალიან ცუდად იყო დაყენებული ვენახების მოვლა 1937 წლამდე ყვარლის, საგარეჯოს, თბილისის, ჯუღელის, ქიათურის, ჩხარის, ქუთაისის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩოხატაურისა და ბორჩალოს რაიონებში და აფხაზეთში. ეს საქმე დღემდე დაბალ დონეზე დგას გორის, კასპისა და ხაშურის რაიონებში.

მესამე ხუთწლედის ამოცანები განსაზღვრება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წ. 28 ივლისის გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 1940 წლამდე კოლმეურნეობებში უნდა გაშენდეს 28.000 ჰექტარი ახალი ვენახი და ვენახის მთელი ფართობი საქართველოში აყვანილ უნდა იქნას 60.000 ჰექტარამდე.

ამასთან ერთად ერთი-ორად უნდა გადიდდეს ვენახის მოსავლიანობა. 1940 წლისათვის უნდა უზრუნველვყოთ მიღება სულ მცირე 60 ცენტნერი ყურძნისა ჰექტარზე. თვალსაჩინოდ უნდა გაუმჯობესდეს ღვინის ხარისხი. ამერიკული ვაზის სადედის ფართობი მიმდინარე წლის 590,3 ჰექტარიდან აყვანილი იქნება 1.057 ჰექტარამდე. საშუალოდ ჰექტარზე ამერიკული ვაზის სადედეებიდან მიღებულ უნდა იქნას 42 ათასი 120-სანტიმეტრიანი სამყნობი ნერგი.

გათვალისწინებულია აგრეთვე კოლმეურნეობებში 1940 წლამდე 120 სათბურის აგება 48 მილიონი ნამყენის გამტარუნარიანობით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სალვინე ჯიშების გაშენებას, პირველ რიგში კი შამპანურის და აგრეთვე სუფრის ჯიშებს.

უკვე ჩატარდა ვენახების პასპორტიზაცია. თვითეული ნაკვეთის მიხედვით დასახულია ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამ ნაკვეთების სრულ წესრიგში მოყვანას.

ხარისხოვანი პროდუქციის (ღვინო, შამპანურის მასალა) მისაღებად პირველად 1936 წელს ყურძნის მოსავალი აღებულ იქნა დიფერენცირებულად. ამან უზრუნველჰყო სახელმწიფოსათვის 19.581 ტონა ხარისხოვანი ყურძნის ჩაბარება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 19.146 ტონისა. გადაჭარბებით შესრულდა შერჩეული მაღალი ხარისხის ყურძნის დამზადების გეგმა.

1936 წელს შემოდგომაზე კოლმეურნეობებში გაშენდა 783,5 ჰექტარი ახალი ვენახი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ, 670 ჰექტარისა, აგრეთვე „სამტრესტის" საბჭოთა მეურნეობების ხაზით — 70,5 ჰექტარი.

კოლმეურნეობებში გაშენდა 36 ახალი სათბური 14.000.000 ცალი ნამყენის გამტარუნარიანობით.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებში გაშენდა აგრეთვე 1.131 ჰექტარი ვენახი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 900 ჰექტარისა, და აგრეთვე 341 ჰექტარი ამერიკული ვაზის სადედე, ნაცვლად 300-სა. ახალი ვენახების ათვისება ხდება მსხვილი მასივებით, რათა შესაძლებელი გახდეს მექანიზაციის გამოყენება. დაიმყნა 25.554.000 ძირი ვაზი, რაც უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობებში საშუალოდ 4.000 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენებას. მევენახეობის ინსტიტუტის კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა 35 უფროსმა აგრონომმა - მევენახემ. რესპუბლიკურ კურსებზე მომზადდა 43 სათბურის გამგე და ერთთვიან სარაიონო კურსებზე — 3.146 მყნობელი.

დამუშავდა და გამოიცა ვაზ-ის კულტურის აგროწესები. ეს აგროწესები შემუშავდა მევენახეობის სტახანოველთა და მოწინავე ადამიანთა გამოცდილების საფუძველზე.

მაგრამ ყველაფერი ეს არ კმარა იმ გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად, რომელიც მევენახეობის დარგშია დასახული. ვენახების ახალი ფართობების ათვისებისა და გამორგვისათვის საჭიროა 1938 წლის გაზაფხულიდან 1940 წლამდე დაიმყნას 200 მილიონი ვაზი. ამ მხრივ ვიწრო ადგილია ძველი სადედეების ცუდი მდგომარეობა. ძველი სადედეები ძალიან დაბალ მოსავალს იძლევიან, საშუალოდ ჰექტარზე 18-20 ათას 120—სანტიმეტრიან ლერწს. საჭიროა ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნას ამ სადედეების ძირფესვიანად გაუმჯობესებისაკენ. მაღალი მოსავლის მიღების შესაძლებლობა გვიჩვენა ზეინდარის ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ (ვანის რაიონი). აქ ჰექტარზე საშუალოდ 50.000 ლერწი აიღეს. ამ კოლმეურნეობის სტახანოველებმა გალაქტიონ ხელაძემ და ალექსანდრე სალარიძემ თავიანთ ნაკვეთზე საშუალოდ ჰექტარზე 82-85 ათასი ლერწი მიიღეს.

სადედეების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად დასმულია ამოცანა — სანერგეებიდან მივიღოთ პირველი ხარისხის ნამყენი საშუალოდ 70 პროცენტი, ნაცვლად 1936 წელს მიღებული 35 პროცენტისა. სტახანოველმა მყნობელებმა 1936 წელს ბეჯითი მუშაობით გააცამტვერეს მავნე თეორია, თითქოს 70 პროცენტი პირველხარისხოვანი ნამყენის მიღება შეუძლებელია.

60 ცენტნერი ყურძნის მიღება ჰექტარიდან სავსებით რეალურია, ხოლო ეს მოითხოვს ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემატურად და ზუსტად გატარებას. შარშან გურჯაანის, აბულაღის, ლუქსემბურგის, ჯუღელისა და თელავის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ჰექტარზე 65-90 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ხოლო ამავე რაიონების კოლმეურნე სტახანოველებმა: ზარიკაშვილმა, ნანობაშვილმა, ასატუროვმა, მატუზოვმა, ჩხეიაშვილმა, მჭედლიძემ, ბედენაშვილმა, ორდენოსანმა ერნსტ კუგელმა ჰექტარზე 80-120 ცენტნერი.

შარშან საქართველოში მოკრეფილ იქნა სულ 125.000 ტონა ყურძენი, 125 მილიონი მანეთის ღირებულებისა. მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი იყო. 1937 წელს გათვალისწინებულია მიღებულ იქნას 158.000 ტონა ყურძენი 158 მილიონი მანეთისა. წელს ჰექტარიდან გათვალისწინებულია საშუალოდ 45 ცენტნერი ყურძნის მიღება. აქედან სჩანს, თუ როგორ იზრდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა მოსავლიანობის ზრდით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასათვისებელი ფართობების ნიადაგობრივ - ტოპოგრაფიულ გამოკვლევას, კლიმატური მაჩვენებლების გათვალისწინებით. ეს საჭიროა საძირეებისა და ჯიშების წესიერად გასანაწილებლად ცალკეულ მიკრორაიონებისა და ნაკვეთების მიხედვით.

კახეთში უმთავრესად უნდა გაშენდეს სტანდარტული ჯიშები — რქა-წითელი, საფერავი, მწვანე, ქართლში — ალიგოტე, პინო, ჩინური და გორული მწვანე; იმერეთში — პინო, ალიგოტე, ციცქა, ცოლიკოური, ოცხანური - საფერე; რაჭა-ლეჩხუმში: ალექსანდროული, წულუკიძის თეთრა, ცოლიკოური და უსახელოური; სამეგრელოში: ოჯალეში, ცოლიკოური, ჩეჩიბეში და პანეში; გურიასა და აჭარაში: ჩხავერი, ცოლიკოური, ჯანი კლარჯულა და ჯავახეთური; აფხაზეთში—ავასირხვა, კაჭიჭი და ცოლიკოური.

სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების ზონაში სუფრის ჯიშებიდან უნდა გაშენდეს თავრიზი, ერევნის, ხალილი, მუსკატი ჰამბურგის, მუსკატი ალექსანდროული, შასლია, კარა ბურნუ, ადმირაბლ დეკურტილიე, ოხანეს ესპანური, ვერმენტინო.

ახალი ფართობები იმ ანგარიშით უნდა იქნას ათვისებული, რომ მევენახეობის სამუშაოებში ფართოდ დაინერგოს მექანიზაცია. საამისოდ მოგვეპოვება სათანადო იარაღ-მანქანები. ფართოდ უნდა დაინერგოს სავსებით გამართლებული მექანიზებული პლანტაჟი ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხნის გუთნით და ტრაქტორ „ჩტზ"-ით, ვაზის მექანიზებული წესით შეწამლისათვის ფართოდ უნდა გავრცელდეს ქარხანა „ვულკანის" მანქანები.

ვენახების გაშენების გეგმის წარმატებით შესრულება, მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება და მოსავლიანობის შემდგომი გადიდება მოითხოვს 1940 წლამდე მომზადდეს 28 ათასზე მეტი მასობრივი კვალიფიკაციის კადრები: მყნობელები, სათბურების გამგეები, ვაზის მოვლის, შეწამვლის, გასხვლის და ღვინის გადამუშავების მუშები.

საჭიროა აგრეთვე გადასინჯულ იქნას და დაზუსტდეს სას.-სამ. ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტისა და მევენახეობის ტექნიკუმების სასწავლო გეგმები და პროგრამები. მევენახეობის სამეცნიერო - კვლევითმა ინსტიტუტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სანერგის — ამერიკული ვაზის სადედეების მეურნეობის, ვაზის ფორმირების, გასხვლის, მიკრორაიონების მიხედვით ჯიშების შერჩევის, ნაკვეთისა და საძირის შერჩევის, სასუქის გამოყენების, მექანიზაციის, მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლის საკითხებს, აგრეთვე ღვინის გადამუშავების საკითხებს. უნდა გამომუშავდეს შამპანური და მაღალმარკიანი სუფრის ღვინოების ტიპები. ყველა ეს ღონისძიებანი უზრუნველჰყოფენ ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებულ სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წ. 28 ივლისის ისტორიულ დადგენილებისა და ამხანაგ ლ. ბერიას მიერ მოცემული საბრძოლო დავალებათა განხორციელებას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნულმა საკითხებმა სათანადო გამოხატულება ჰპოვეს მევენახეობის მესამე ხუთწლედის გეგმაში.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ადგილებზე ფართოდ გაიშალოს მუშაობა სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. არ უნდა დარჩეს არცერთი კოლმეურნეობა, არცერთი კოლმეურნე, არცერთი საბჭოთა მეურნეობა და არცერთი სპეციალისტი, რომელიც სოცშეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებს. მევენახეობის ხაზით გადამეტებით უნდა შესრულდეს ყველა ის მაჩვენებელი, რომელიც გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლებისათვის სრულიად-საკავშირო სას.-სამ. გამოფენის კომიტეტმა დააწესა.

მშრომელთა წერილები

ეგნატაშვილი უკანონოდ მოხსნეს

გორის ქალაქის საბჭოს კომუნალურ განყოფილებაში მომმარაგებლად მუშაობდა მიხეილ ეგნატაშვილი. სხვადასხვა საქმეების გამო იგი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ სასამართლომ გაამართლა. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მას ჩამოეწერა ის 1.100 მანეთიც, რომელიც, მას გორისა და უფლისციხეს შუა მომხდარი კატასტროფის დროს დაეკარგა. ამჟამად ეგნატაშვილს აქვს სასამართლოს დადგენილება აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ რატომღაც არ უშვებენ სამუშაოზე. ამ მდგომარეობას არც გორის რაიაღმასკომი აქცევს ყურადღებას.

ეგნატაშვილი დაუყოვნებლივ აღდგენილ უნდა იქნას სამუშაოზე და განაცდურიც აუნაზღაურდეს.

დ. გვათუა

ჩვენი დროის მკლავაძე

არსენა ბაზალაშვილს იდეალად გაუხდია ტარიელ მკვლავაძეობა, ის მაუზერით დასდევს ყველას: ქალს, კაცს, დიდს, პატარას, მოხუცებსაც... მისი სამოღვაწეო ასპარეზია მელიქიშვილის ქ. № 13 (თბილისი) და მახლობელი სახლები. მისთვის არ არსებობს არავითარი კანონი; როგორც შეეპრიანება, ისე იქცევა.

მოქ. ელისაშვილს მიუხტა სახლში, მაგრამ არ მოასვენა. ელისაშვილმა უჩივლა მას, მაგრამ სასამართლოში საქმე დაიკარგა და ელისაშვილი იძულებული გახდა გადასახლებულიყო.

მოქ. ჩარხაანს რევოლვერით მიუხტა, არ დააყენა და ისიც გადასახლდა.

მოქ. ღვინიაშვილს ქუჩაში დაუხვდა საცემად.

მოქ. ბათმანიშვილებს მიუხტა მაუზერით, ჩაუმტვრია კარი, წაართვა სარდაფი, შეუკრა გასასვლელი გზა, სცემა ქალებს.

სცემა მოქ. კურასის ქალს, რის გამო 2 წლით მას პირობითი სასჯელი მიუსაჯეს.

მოქ. ტერნეტაევას სახლში რევოლვერით მიუვარდა.

რევოლვერით დაუხვდა გაჩეჩილაძის ქალს; დაეპატრონა საერთო სამზარეულოს, რომელიც შემდეგ ლოცვაშვილს მიჰყიდა. გარდა ამისა, მას სისხლის სამართლის დანაშაულიც აქვს ჩადენილი, რაზედაც პროკურატურაში შემდგარია სათანადო საქმე (1936 წელს).

გაფლანგვისათვის 1931 წელს მისჯილი ჰქონდა 5 წლით პატიმრობა, მაგრამ რატომღაც მხოლოდ 8 თვეს იჯდა.

ახლაც მისჯილი აქვს ორი წლით იძულებითი მუშაობა.

საერთოდ, არსენ ბაზალაშვილის მრავალი საქმეა პროკურატურაში, მაგრამ მას ვიღაც მფარველობს და იგი ყოველთვის დაუსჯელი რჩება.

ხულიგანი უნდა ალაგმოს!

გაჩეჩილაძე

რუსთაველის იუბილე

რა იქნება მოთავსებული საიუბილეო კრებულში

გამოკვეთილია გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებულის შინაარსი, რომელსაც უშვებს საიუბილეო კომიტეტი. კრებულს გამოსაცემად ამზადებს რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტი.

კრებულში შევა: რედაქციის შესავალი სტატია—„რუსთაველი და თანადროულობა“, სტატიები: ა. დუდუჩავასი—„რუსთაველის შემოქმედება“, პ. ინგოროყვასი.—„შოთა რუსთაველი“, ი. ა. ჯავახიშვილისა—„რუსთაველი და მისი ეპოქა“, გ. ქიქოძისა—„რუსთაველი და ჰუმანიზმი“, კ. კეკელიძისა—„ისტორიულ ქრონიკებში დარჩენილი ლიტერატურული ცნობები შოთა რუსთაველის შესახებ“, ი. აბულაძისა—„ვეფხისტყაოსანი“ და „ირანული ეპოსი“, ტ. ჰიჰინაძისა—„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა“, შ. ნუცუბიძისა—„რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ“, ვ. კოტეტიშვილისა—„ვეფხისტყაოსანი“ და ფოლკლორი“, ს. იორდანიშვილისა —„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები“ და ა. ბარამიძისა—„ტარიელის დახასიათებისათვის“.

კრებული გამოვა სექტემბერში ა. დუდუჩავას რედაქციით.

◇

არქეოლოგიური გათხრები კასპში

ნოფ. კასპი და მისი მიდამოები არქეოლოგიური თვალსაზრისით ერთერთ საინტერესო ადგილად არის მიჩნეული. ხშირია შემთხვევები, როცა იქ პოულობენ სხვადასხვა უძველეს ნივთებს. ამას წინადაც იქ იპოვნეს ძველებური თიხის ჭურჭლები, ბრინჯაოს მახვილი და მრავალი სხვა ნივთი.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან არსებულმა აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ინსტიტუტმა გადასწყვიტა გაგზავნოს სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიცია კასპისა და მისი მიდამოების ისტორიულ ადგილებზე არქეოლოგიური გათხრების მოსაწყობად.

გათხრების ხელმძღვანელობა დავალებული აქვს პროფ. გ. ნიორაძეს.

სოჭი. სასტუმრო „რივიერა“ სანაპირო ბულვარზე.

მოსამართლეთა ბიუროკრატიზმი

საქართველოს უზენაეს სასამართლოში არის ერთი საქმე, რომლის ნომრის გაგება ვერ შევძელით, რადგან ყდა შემოხეული აქვს და საბუთებიც გაყვითლებული და დაცრეცილია, ეტყობა ამ საქმეს დიდი „გაჭირვება“ გამოუვლია. ის 1933 წლის ივლისში შეადგინეს, მაგრამ მისი გარჩევა „შეუძლებელი“ შეიქნა.

საქ. სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან 1929 წელს დაარსდა ინვალიდთა არტელი „აღორძინება“. ამ არტელში ხე-ტყის დამამზადებლად მოიწვიეს ამ საქმის სპეციალისტი გლ. ღოგიბერიძე. გოგიბერიძემ თავის მხრივ მოიწვია თავისი ნათესავები და ძმა-ბიძები ს. დოლიძე, შ. გოგიბერიძე, ნ. უგრეხელიძე. მაგრამ გ. ღოგიბერიძე ხე-ტყის დამზადების კი არა, კომბინაციების სპეციალისტი აღმოჩნდა და თავის ძმა-ბიძებთან ერთად გაანიავა არტელის ქონება. დამნაშავენი დაიპატიმრეს, მაგრამ შემდეგ თავდებობით გაათავისუფლეს.

1933 წლის აგვისტოში საქმე განსახილველად დაისვა უზენაეს სასამართლოში, მაგრამ დამატებითი გამოძიებისათვის რესპუბლიკის პროკურატურას გადასცეს. გავიდა ერთი წელი და აი 1934 წლის 26 აპრილს საქმე ისევ დაისვა გაერთიანებულ სასამართლოში, მაგრამ მოსამართლე ცერცვაძემ გადასდო. იმავე წლის 10 მაისს ცერცვაძემ საქმის განხილვა დროის უქონლობის გამო ისევ გადასდო. 11 მაისს საქმე წარმოებიდან მოხსნეს და ექსპერტს გადასცეს გამოსარკვევად. 15 ივნისს ისევ დაინიშნა საქმის განხილვა, მაგრამ კვლავ გადასდეს 27 ივნისისათვის. 27 ივნისს ამ საქმის განხილვა არავის გახსენებია და აი 2 ნოემბერს მოსამართლე კაკაურიძის თავმჯდომარეობით დაიწყეს განხილვა, მაგრამ მოწმეების გამოუცხადებლობის გამო გადასდეს.

1934 წლის 28 დეკემბერს ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში ეს საქმე მოსამართლე რამზისთაველის თავმჯდომარეობით უნდა განეხილათ, მაგრამ გადასდეს „სხვა დროისათვის“. შარშანწინ, 27 იანვარს მოსამართლე კაკაურიძემ ისევ გადასდო საქმის განხილვა და დაადგინა: რადგან პროცესზე არ ცხადდებიან ბრალდებულები, ხორავა და უგრეხელიძე დაპატიმრებული იქნასო. ამ დადგენილების შესრულებაში მოყვანა არავის გახსენებია, იმავე წლის 28 მაისს ეს საქმე კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში აღმოჩნდა, მოსამართლე რიზა-ზადეს თავმჯდომარეობით საქმე დაისვა განსახილველად, მაგრამ ბრალდებულების გამოუცხადებლობის გამო გადადო. ბრალდებულები ხომ თავდებობით იყვნენ განთავისუფლებულნი? თუ ისინი არ გამოცხადდნენ, თავდებისათვის უნდა მოეთხოვათ პასუხი, მაგრამ მოსამართლეებმა ამას საქმის განხილვის გადადება და გაჭიანურება ამჯობინეს.

1935 წლის მაისის შემდეგ კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში ეს საქმე ექვსჯერ დაისვა განსახილველად და ექვსჯერვე გადაიდო.

გავიდა დღეები, კვირეები, თვეები და აი, მიმდინარე წლის 11 ივნისს კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლის ყარამშევის დადგენილებით საქმე „გადასახედავად“ უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

როგორც ვხედავთ, გ. ღოგიბერიძისა და მისი ძმა-ბიძების საქმის განხილვა ხუთი წელიწადია ჭიანურდება. ამ ხნის განმავლობაში ბრალდებულებს თავიანთი დანაშაული დაავიწყდათ და 11 მოწმიდან ნახევარიც არ ცხოვრობს თბილისში. ვნახოთ ახლა როგორ „გადახედავს“ და „განიხილავს“ ამ საქმეს საქ. უზენაესი სასამართლო!

გ. გიაძე

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

17 ივლისი

პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „დებულება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“—რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე

○

პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8) 21 ივლისისათვის გამოძახებული არიან ამხანაგები:

გრიგოლ ღარიბაშვილი (დუშეთის ორგანიზაციიდან), კასუმ ბაირამოვი (ბორჩალოს ორგანიზაციიდან), ალი ფაიკ ჩუბინოვი (ბათუმის ორგანიზაციიდან), ვასილ კოჩიევი და ევსტაფი კონსტანტინესძე კოჩიევი (სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციიდან).

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთები № 1508050, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ ნესტორ სამსონისძე სიხარულიძის სახელზე, და № 1503661, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მიერ ამხ. ...მენ ალექსანდრეს-ძე ...ინოევის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. პარტკოლეგია წინადადებას აძლევს გრიგოლ პეტრეს-ძე მელკონიანს და ადამ აკოპის-ძე სიხჩიანს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ყვავაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, პირველი სართული, ოთახი № 8).

○

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1518389, გაცემული 1936 წლის 16 ივლისს საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მიერ ამხ. ერასტი ვასილის-ძე გოგრიჭიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი გრ. მუშიშვილი

მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვება

მოსკოვი, 16 ივლისი, (ელვა ჩვენი საკ. კორ.) დღეს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საფინალო შეჯიბრება საკავშირო თასის გათამაშებაზე მოსკოვისა და თბილისის „დინამოებს“ შორის. შეჯიბრებას დაესწრო 75.000 მაყურებელი.

შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველების გამარჯვებით (5:2).

პარადის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის ყველა ფეხბურთელთა გუნდები, მოხდა გამარჯვებულთათვის თასის გადაცემა.

◇

ამბროლაურის კეთილმოწყობა

მიმდინარე წელს ამბროლაურის კეთილმოწყობისა და კომუნალური მშენებლობისათვის ერთ მილიონ მანეთზე მეტია გათვალისწინებული. ეს თანხა მოხმარდება რაიაღმასკომის შენობის, პურის მექანიზებული საცხობის, მრეწვკომბინატის სახლის, საშუალო სკოლის და სასტუმროს მშენებლობას.

მაიებელ ნ. ენუქიძის „ხელმძღვანელობის“ დროს გაიყვანეს წყალსადენი, რომლის მილები თითქმის მთლიანად მდინარეში იყო ჩაწყობილი. გასულ წელს წყალდიდობის დროს ეს მილები მდინარემ წაიღო. ამიტომ მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ახალი წყალსადენის გაყვანა, რომელიც 70.000 მანეთი დაჯდება.

ამბროლაურის რაიონული ცენტრი მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად შეიცვლის სახეს. გარდა მსხვილი მშენებლობისა, დაკვრითი წესით მიმდინარეობს რაიონის კეთილმოწყობაც. (საკ. კორ.)

აჭარელი ახალგაზრდა მასწავლებლები

(ბათუმი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

წელს ამხ. კრუპსკაიას სახელობის აჭარელ ქალთა პედსასწავლებელმა გამოუშვა 15 მასწავლებელი. მათი გამოშვება ზეიმით აღინიშნა. საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ილიას ქათამაძემ. გამოშვების შესახებ მოხსენება გააკეთა სასწავლებლის დირექტორმა.

კურსდამთავრებულთა სახელით გამოვიდა აჭარელი ნაზიკო გოგიტიძე, რომელმაც პირობა მისცა მშობლებსა და მასწავლებლებს, პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ სასახელოდ შეასრულებს ამხ. ლავრენტი ბერიასთვის მიცემულ დაპირებას და მოსწავლეებს ჩაუნერგავს მის სიტყვებს: „მოსწავლეთა სიმამაცე და გმირობა ფრიადზე სწავლაა“...

პედკოლექტივის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა კანდელაკმა, პიონერთა ორგანიზაციიდან ფრიადოსანმა ინაშვილმა და ძერჟინსკის სახელობის სკოლიდან ფრიადოსანმა მოწაფემ ჯუღელიშვილმა.

მშობლების სახელით მოსწავლეებს, კურსდამთავრებულთა და მასწავლებლებს მიესალმა ხუცუბნის ამხ. გობეჩიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ამხ. ღოგიტიძე, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ჩვენ უსაზღვროდ მადლობელი ვართ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, რომლებიც ასეთი ყურადღებით და მზრუნველობით ზრდიან ჩვენს ბავშვებს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი აჭარელი ხალხის კულტურის ასეთი არნახული ზრდა და აყვავება“...

ახალგაზრდა პედაგოგებს გულთბილად მიესალმა აჭარის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ისაკი ჟვანია.

შ. ფურცხვანიძე

◇

ახალი ამბები

● თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა არქიტექტურული ფაკულტეტი. განცხადებების მიღება იწარმოებს 20 ივლისამდე.

● 17 ივლისს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა კავშირში (მახაბლის, 13) შესდგება ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების სემინარი. მწერალი ლეო ქიაჩელი ჩაატარებს საუბარს: „ჩემი შემოქმედების გამოცდილება“. ახალგაზრდა მწერლების დასწრება სავალდებულოა.

ფეხბურთი

„ლოკომოტივი“ — „სიი“

18 ივლისს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება ამხანაგური მატჩი ფეხბურთში „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პირველ გუნდებს შორის.

თამაში დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. „ლიხიზული გუნდები „დინამოს“ შემდეგ საუკეთესო კოლექტივებია ქალაქში.

შეჯიბრება დაიწყება საღამოს 6 ნახ. საათზე.

24 ივლისს იწყება საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ექვს ჯგუფად.

„ა“ ჯგუფში ჩარიცხულია საბჭოთა კავშირის 8 უძლიერესი გუნდი: მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და თბილისის „დინამო“, „სპარტაკი“ (მოსკოვი), „კრასნაია ზარია“ (ლენინგრადი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) და „მეტალურგი“ (მოსკოვი).

„ა“ ჯგუფის გუნდები პირველობის გათამაშებას იწყებენ 24 ივლისს. ამ დღეს მოსკოვის „სპარტაკი“ შეხვდება ლენინგრადის „კრასნაია ზარიას“. თამაში ჩატარდება მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე. ლენინგრადის „დინამო“ თავის მოედანზე მიიღებს მოსკოვის „დინამოს“, ხოლო „მეტალურგი“ ითამაშებს კიევში იქაურ „დინამოსთან“.

თბილისის „დინამო“ გათამაშებაში ჩაებმება მხოლოდ 6 აგვისტოს. მისი პირველი თამაში მოხდება მოსკოვში „სპარტაკთან“.

პირველობის გათამაშება ყველა ჯგუფის მიხედვით სექტემბერში დამთავრდება.

◇

შემთხვევები

მკვლელობა. 15 ივლისს დღისით თათართა მოედანზე მ. შ. დავარაშვილმა (ორპირის ქ. № 160) და მ. გ. მეხილიშვილმა (ორპირის ქ. № 158) ასტეხეს ჩხუბი, რომლის დროსაც დავარაშვილმა დანით მძიმედ დასჭრა მეხილიშვილი. მეხილიშვილი იქვე გარდაიცვალა, დავარაშვილი შეიპყრეს. გამოძიებას აწარმოებს კიროვის რაიონის პროკურატურა.



პალმების ხეივანი წყალტუბოში

ფოტო რ. აკოფოვისა

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი დუბროვსკი (ა. ს. პუშკინის)
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	საზაფხულო შენ. პარტიზანის ქალიშვილი; საზამთრო შენ. ხმოვანი ფილმი ცამეტნი
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენ. არსენა ქართულ ენაზე; საზამთ. შენ. ხმოვ. ფილმი უკანასკნელი ღამე
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე-4 კვირა არსენა
26 კომ. სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9	ხმოვანი ფილმი დნეპრი ცეცხლის ალში
კომინტერნი 9, 11	ხმოვანი ფილმი ცამეტნი
არსენა (კიროვის საბ. რაიონი)	ხმოვანი ფილმი ნარინჯის ველი
ახალი ამბები.	გმირთა შეხვედრა ხმოვანი ჟურნალი № 29

ექიმი ი. ჭიშველი
კანის და ვენერიული ავად.
იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს.
კამოს ქუჩა № 72.

ჯანსახკომის თბილისის მეორე საფერშლო სკოლაში
1937/38 სასწავლო წელს მოწაფეთა მიღების პირობები

1. მეორე საფერშლო სკოლაში პირველ კურსზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 25 წლამდე, რომელთაც დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლის 7 კლასი ან ამავე უფლებების მქონე რომელიმე სხვა სასწავლებელი.
2. შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები (დედანი): ა) 7 კლასის დამთავრების მოწმობა, ბ) წლოვანობის მოწმობა, გ) ჯანმრთელობის მოწმობა, დ) პასპორტი (იმათ, ვინც გადაცილებულია 16 წლის ასაკს), ე) ორი შემოწმებული ფოტოსურათი.
3. განცხადებების მიღება სწარმოებს 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე ყოველდღე დილის 10 საათიდან 3 საათამდე, კ ა მ ო ს ქ. № 51.
4. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე 7-წლედის კურსის ფარგლებში შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერითი-ზეპირი), 2. მათემატიკა (წერითი-ზეპირი) (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია), 3. ფიზიკა, 4. ქიმია, 5. საზ. მეცნიერება.
5. უგამოცდოდ მიიღებიან ის პირები, ვისაც 7 კლასის კურსის ფარგლებში საგნები ჩაბარებული აქვთ ფრიადზე, გარდა ხატვისა, მუსიკისა და ფიზკულტურისა, აგრეთვე ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა. მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.
6. მეცადინეობა დაიწყება პირველი სექტემბრიდან. მეცადინეობის დაწყებამდე იწარმოებს საექიმო შემოწმება.
7. მეორე საფერშლო სკოლის კურსდამთავრებულ მოწაფეს უფლება აქვს შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო სტაჟის შესრულების შემდეგ საერთო წესით.

მეორე საფერშლო სკოლის დირექტორი პროფ. ალ. ნ. ნათიშვილი.
1157

საქართველოს პოლიგრაფიულ ტექნიკუმში
1937/1938 წ. მიღების პირობები.

1. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15 წლიდან 21 წლის ასაკამდე წარმოებიდან მოუწყვეტით.
შენიშვნა: თბილისის პოლიგრაფიულ მრეწველობაში შემავალ საწარმოებში მომუშავეთათვის გაიხსნება ერთი ჯგუფი, სადაც მიღება იწარმოებს წარმოებას მოუწყვეტლივ 15 წლიდან 35 წლის ასაკამდე.
2. ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, ან ისეთი სასწავლებელი, რომელიც უფლებით უკანასკნელთან გათანასწორებულია.
3. ტექნიკუმში შემომსვლელნი გამოიცდებიან არასრული საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში: ა) დედა ენაში (წერა და ზეპირი), ბ) რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), გ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), დ) ფიზიკაში, ე) პოლიტცოდნაში.
4. შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს პირადად, ან გამოგზავნოს ფოსტით შემდეგი საბუთები: ა) განცხადება, ბ) ავტობიოგრაფია, გ) განათლების მოწმობა (დედანი), დ) ჯანმრთელობის ცნობა, ე) სამი ფოტოსურათი (უქუდოდ). მეორე გვერდზე შემომსვლელის ხელმოწერით და დაწესებულების მიერ დამოწმებული, ვ) ცნობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ.
5. განცხადებები მიიღება ყოველდღე ა. წ. 15 აგვისტომდე.
6. მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-დან 28 აგვისტომდე.
7. ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და უმრავლესობა საერთო საცხოვრებლით.
8. მისამართი: ქალაქ თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3/5.

3-1 253
დირექტორი ინჟ. ნ. რუხაძე.

საქ. კოოპინკავშირის სისტემის არტელ „ინქიმის“ დასკვნითი ბალანსი

აქტივი — 1937 წ. 1 იანვრისათვის — პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	7.147—82	1	საკუთარი ფონდები	10.128—15
2	საშუალებანი ბრუნვაში	20.917—24	2	ანგარიშსწორებანი	72.262—00
3	სისტემის პროდუქცია და საქონელი	15.270—20	3	მიმდინარე წლის დაგროვება	45.445—81
4	ფულადი საშუალებანი	73.418—65			
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	5.632—05			
6	განყენებული საშუალებანი	5.450—00			
	ბალანსი	127.835—96		ბალანსი	127.835—96

1936 წ. დაგროვება-დანაკარგების ცხრილი.

დანაკარგები		დაგროვებანი	
1. ზარალი რეალიზაციიდან	901—80	1. შემოსავალი რეალიზაციიდან	46.739—93
2. სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	589—01	2. სხვადასხვა შემოსავალი	196—69
სულ	1.490—81	სულ	46.936—62
წმინდა დაგროვება	45.445—81	დანაკარგები	— —
ბალანსი:	46.936—62	ბალანსი:	46.936—62

ბალანსი განხილულია და დამტკიცებულია საქკოოპინკავშირის პრეზიდიუმის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წ. იანვრის 2-ს, ოქმი № 9.

გამგეობის თავმჯდომარე სიამაშვილი. მთ. ბუხჰალტერი ბორჩხაძე. 1142

დ. ლომსაძე

ადამიანები სხვა სამყაროდან

თავგაპარსულმა და სახეშეშლილმა კაცმა თავი გადმოჰყო მეორე სართულის სარკმლიდან და გადმოგვძახა.

— დადექით, სიმღერას ვიწყებ!

...ლა ბელა ფემინაა...

წკრიალა ტენორში ისმოდა ადამიანის თავდატეხილი დიდი უბედურების ამბავი. შეშლილს თავი კარუზოდ აქვს გამოცხადებული და თუ ვინმე მას „კარუზობაში“ ეჭვს შეიტანს, ის აღგზნებაში მოვა, ტანისამოსს შემოიხევს, დაამტვრევს ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდება.

„შიზოფრენიით“ შეპყრობილთა, მიხსნის ექ. ვლ. იაშვილი, ჩემი დიდი დამცველი „სხვა სამყაროს ადამიანთა“ თავშესაფარში. მართლაც სხვა სამყაროა აქ სხვა ადამიანები, სხვა ინტერესებით შეხედულებებით, იდეებით, სინამდვილეს მოწყვეტილი ცხოვრობენ, იბრძვიან, მსჯელობენ, მუშაობენ. შემოქმედებითი ენტუზიაზმით გატაცებულნი სწერენ თხზულებებს, ამუშავებენ პროექტებს ფანტასტიკურსა და აბსურდულს.

ინჟ. პოპელმა, ტომით ბესარაბიელმა და შვეიცარიიდან შემთხვევით თბილისში გადმოხვეწილმა დაამუშავა ვეებერთელა ხიდის პროექტი, არავისთვის ეს ხიდი საჭირო არ იყო, მაგრამ ინჟ. პოპელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ... თბილისის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტს დაეწყო ალპებში ამ ხიდის მშენებლობა. პოპელი ე. წ. „პარანოიით“ იყო შეპყრობილი. განუკურნავი ავადმყოფობაა.

„შიზოფრენიის“ შემთხვევები უფრო ხშირია. ასეთ სულით ავადმყოფებს ყველა ფსიქიური ფუნქცია აქვთ, მაგრამ ამ ფუნქციებს შორის ლოგიკური კავშირი და შეთანხმებულობა დარღვეულია. თურმე არ ყოფილა ჯერ კიდევ საბოლოოდ დადგენილი, თუ რა იწვევს ასეთ დაავადებას. ფსიქიატრთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ იგი შთამომავლობითი უბედურებაა. მაგრამ ერთი მიღწევა მაინც მოგვცა თანამედროვე მედიცინამ — გამონახა ამ ავადმყოფობით შეპყრობილთა რადიკალურად განკურნების საშუალება.

მიხეილ შ—ვი ასეთ ავადმყოფთა ტიპიურ წარმომადგენლად მიიჩნიათ, მაგრამ მას ეს „შიზოფრენია“ ქრონიკულ ფორმაში აქვს და მისი განკურნება ახლა, როცა ეს საშუალება ცნობილი გახდა, უკვე დაგვიანებულია. ავადმყოფი ელანდება, რომ მას სდევნიან მუშები, ამტვრევს მუშებს გარბის შველას თხოულობს. საკმაოა მასთან სანიტარის გამოცხადება და იგი მაშინვე წყნარდება.

სულით ავადმყოფებს მკურნალობენ თბილისის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. ეს უმნიშვნელოვანესი სამკურნალო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. 100-მდე სხვადასხვა ფსიქიური ავადმყოფობა არსებობს თურმე და თითქმის ყველა სახის ავადმყოფები ჰყავთ ამ ინსტიტუტში. აქ არიან თანდაყოლილი ჭკუასუსტობით შეპყრობილნი, „იმბეცილები“, „დებილები“, პროგრესული დამბლით დაავადებულნი (ათაშანგით გამოწვეული სულითავადმყოფობა), ნევრასტენიკები, ე. წ. რეაქციული ფსიქოზებით შეპყრობილნი, ინფექციური ფსიქოზებით დაავადებულნი, პელაგრით ავადმყოფნი და მრავალნი სხვანი. რეაქციული ფსიქოზებით შეპყრობილნი ავად ხდებიან უმთავრესად შიშის ნიადაგზე. ჩვეულებრივად ავადმყოფობა მწვავე ფორმით იწყება, მაგრამ ისინი ადვილად იკურნებიან, ასობით შემთხვევებია აღნიშნული ინსტიტუტის მატიანეში ასეთ ავადმყოფთა განკურნებისა. ინფექციური ფსიქოზებით ხშირად ავად ხდებიან სხვადასხვა ინფექციური დაავადებათა შედეგად (ტიფი, გრიპი და სხვ.) ასეთ ავადმყოფთა მორჩენაც არაა ძნელი საქმე.

აქიდან გაიქცა ლეგენდარული კამო. სარკმელი, რომელიც მან მთელი ერთი კვირის განმავლობაში ხერხა, ახლაც იმ მდგომარეობაშია, როგორც კამომ დასტოვა. მოიპოვებიან ახლაც ამ ინსტიტუტში ცოცხალი მოწმენი იმისა, თუ როგორ „მკურნალობდნენ“ მეფისა და მენშევიკების დროს ავადმყოფებს. უფრო სწორად, აქ კი არ მკურნალობდნენ, არამედ აწამებდნენ ისე დაც ჯანსაღებს და გაუბედურებულ ადამიანებს. მერე ვინ წარმოადგენდა მაშინ „საგიჟეთის“ პაციენტთა უმრავლესობას? მშრომელები — მუშები, გლეხები, დაბალი მოსამსახურენი. ახლა მდგომარეობა დიამეტრალურად სხვანაირია.

ინსტიტუტის ახლანდელ პაციენტთა შორის სჭარბობენ ყოფილი ადამიანები, ყოფილი ვაჭრები, დეკლასირებული ელემენტები. არიან აგრეთვე კლასობრივ მტერთა მსხვერპლნიც. მათ მკურნალობს საბჭოთა სახელმწიფო, უვლის, პატრონობს და ცხოვრებაში დასაბრუნებლად ამზადებს. ბევრნი იკურნებიან, სავსებით გაჯანსაღებულნი უბრუნდებიან საზოგადოებას.

პროფ. მიხ. ასათიანის სახელზე ინსტიტუტში დაცულია არა ერთი და ორი ათეული წერილი ყოფილი პაციენტებისგან.

— მადლობა საბჭოთა მთავრობას და ღირსეულ საბჭოთა მეცნიერს, — სწერს ყოფილი ავადმყოფი პროფესორს, ტკბილსა და მომხიბლავ კაცს, საბჭოთა გამოჩენილ მეცნიერსა და სოციალისტური ჰუმანიზმის საუკეთესო წარმომადგენელს—მიხ. ასათიანს. ახლა პროფ. ასათიანი მოკლებულია საშუალებას — გაეცნოს თავისი ინსტიტუტის ყოფილ „მობინადრეთა“ ამაღელვებელ წერილებს. ბრმა შემთხვევამ ავადმყოფის სარეცელს მიაჯაჭვა ეს მეცნიერი. და მისი ყოფილი მოწაფეები, ამჟამად თბილისის ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკები მოუთმენლად მოელიან საყვარელი მასწავლებლის განკურნებასა და დაბრუნებას.

ტუოისტი ი. ლ. ამ ათიოდე წლის წინათ ავად გახდა პროგრესული სიდამბლით. ავადმყოფობა საშინელ ფორმაში დაიწყო. ავადმყოფი თავს აცხადებდა მეფედ, ბოდავდა, ხშირად მიდიოდა აღგზნებაში და ყოვლად აუტანელი ხდებოდა. ამავე დროს ის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. კაცი დაიღუპა ცოცხლადვე. ცოტა ხნის შემდეგ, როცა შეუძლებელი გახდა მისი სახლში შენახვა, ავადმყოფი მიიყვანეს ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. რამდენიმე თვის შემდეგ ის სრულიად განიკურნა და ამჟამად მუშაობს ერთერთ დაწესებულებაში პასუხსაგებ თანამდებობაზე.

ინსტიტუტთან არსებობს საექსპერტიზო განყოფილება. ამ განყოფილებაში თავს უყრიან ყველა იმათ, ვინც სასამართლო ორგანოებში „საეჭვოდ“ მიაჩნიათ, იყვნენ დამნაშავეები, რომელთაც მრავალი მკვლელობა ჰქონდათ ჩადენილი. აღსანიშნავია, რომ ასეთ „ავადმყოფთა“ კონტინგენტს სწორედ კულაკური ფენები იძლევიან. ყოფ. კულაკის შვილმა ვინმე ხმალაძემ, ქურდმა და გაუსწორებელმა რეციდივისტმა, ბინის გაქურდვისას მოკლა ბინის პატრონი მოქ. ხომერიკი. დამნაშავე დაიპატიმრეს და მის ამხანაგთან ერთად „სამიქეყნოდ“ განაწესეს. რეციდივისტ ხმალაძეს ჩადენილი ჰქონდა 11 მკვლელობა და რაკი ახლა თავის დაძვრენა ვერ მოახერხა, მოიგონა შეშლილობა. მიიყვანეს ინსტიტუტში. მარტივი წესი არსებობს, თურმე, სიმულანტების გამოსამჟღავნებლად და ხმალაძე იძულებული გახდა ეთქვა, რომ სიმულანტი იყო.

ვინმე პოლონელი ვაჭარი ს. დ. ცხოვრობდა ბაქოში. მას პროფესიად ჰქონდა გადაქცეული კაცისკვლა. სულ უმიზეზოდ ჰკლავდა ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. მილიციის ორგანოებმა იგი შესამოწმებლად გადაუგზავნეს ინსტიტუტს, როგორც სიმულანტი. სიმულაცია დადასტურდა და ყოფ. ვაჭარი საზოგადოებას მოაშორეს.

ვლ. იაშვილი, რომელიც ამჟამად ინსტიტუტის მთავარ ექიმად მუშაობს, მეუბნებოდა, რომ უკანასკნელ წლებში უკურნებელ ფსიქიურ დაავადებათა შემთხვევები ერთობ შემცირდა. უფრო სჭარბობენ რეაქციული და ინფექციური ფსიქოზებით შეპყრობილნი. ეს იმას ადასტურებს, რომ სულით ავადმყოფობის სოციალური მიზეზი ჩვენში თანდათანობით ჰქრება და ახლა, უმთავრესად საქმე გვაქვს შემთხვევითი ხასიათის დაავადებებთან (შიშის ნიადაგზე, ან ინფექციური სნეულებათა შედეგებთან). მაგრამ ჯერ ისევ მოიპოვებიან ქრონიკულად დაავადებულნი. ისინი შემორჩენილი არიან იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების, აგრეთვე მეფისა და მენშევიკების პერიოდიდან. ფსიქიატრულ სავადმყოფოთა რიცხვი საქართველოში ერთობ მცირეა. მთელს კახეთსა და ქართლში, თუ შორეულ რაიონებს არ ავიღებთ, არცერთი ფსიქიატრი ექიმი არ არის. აჭუ კასინჯეთ, საქართველოში სულ 33 ფსიქიატრი მუშაობს. ბუნებრივია, რომ მათ არ ძალუძთ ერთდამავე დროს ფსიქიატრიული დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს და ერთდროულად უმკურნალონ ავადმყოფებს.

რაჭაში, კოლმეურნე ა. გ.-ს მოუხდა ღამით მგზავრობა. ერთ „ნაძრახ“ ადგილას, ხევში სადაც პატარა წყარო მოწანწარებს, მგზავრს მოესმა შემზარავი კივილი. სოფლები შორსაა, ადამიანის ჭაჭანება არსად არის. კოლმეურნეს მოეჩვენა, რომ „ჭინკები“ ცხენებს მიაჭენებდნენ. კაცი გაიქცა, არბინა დაახლოებით 7 კილომეტრი, მივიდა სახლში, ენა ჩაუვარდა და. მეორე ღამით კომკავშირელები წავიდნენ ამ ადგილზე სადარაჯოდ. აღმოჩნდა, რომ კატები გამოდიან აქ ჩიტების სანადიროდ და ერთმანეთთან შეხვედრისას სტეხენ საშინელ კაკაფონიას.

ასეთი შემთხვევები ხშირია. კოლმეურნე ა. გ. მალე განკურნა ფსიქიატრმა.

თბილისის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში ყველა პირობაა შექმნილი ავადმყოფთა განსაკურნავად. სუფთა დარბაზები ხალიჩებითაა მოფენილი, საწოლები მოწყობილია ისე, რომ ავადმყოფმა შევიწროება არაფრით იგრძნოს, კვება საუკეთესოა. ფართო ეზოში ბაღია ასწლოვანი ხეებით, გვერდით სახელოსნოებია, ფიზკულტურული მოედანი. ავადმყოფებს შეუძლიათ აქ იმუშაონ მათთვის საინტერესო პროექტების განხორციელებაზე. ფიზკულტურა კი მკურნალობის ერთერთი ძირითადი მეთოდია. ფიზკულტურული ვარჯიშისას, ავადმყოფი, რომელიც ხშირად მოდის აღგზნებაში, ხარჯავს მოჭარბებულ ენერგიას და წყნარდება.

ინსტიტუტთან მოწყობილია მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო საკვლევო კაბინეტი, ლაბორატორიები. აქ ჩვენი საბჭოთა სპეციალისტები ეძიებენ სულით დაავადებულთა განკურნავ ახალ საშუალებებს, ეცნობიან ლიტერატურას, ახდენენ ცდებს და ღებულობენ შესანიშნავ შედეგებს. აქ შემოიღეს მაგალითად ე.-წ. პროგრესიული სიდამბლით მკურნალობის უახლესი საშუალებანი. გამოირკვა, რომ პროგრესიული სიდამბლით დაავადებულს რადიკალურად შველის.. მალარია. ავადმყოფს მალარია აცრეს და 15 შეტევის შემდეგ გაჯანსაღებული სავადმყოფოდან გასწერეს.

ინსტიტუტში ამჟამად მომუშავე სპეციალისტებს შორის უმრავლესობა საბჭოთა სასწავლებლებში კურსდამთავრებულია. მათ დაწერილი აქვთ 135 სამეცნიერო შრომა. ასისტენტებს — ირ. მენთეშაშვილს, ნინო ვეშაპელს, შენგელაიას, ე. გაბრიჩიძეს და ვ. იაშვილს გამზადებული აქვთ ახალი შრომები. ამ შრომებში გადმოცემულია მათ მიერ შემოწმებული და ნაცდელი ახალი სამკურნალო საშუალებანი, რომლებითაც შეიძლება სხვა სამყაროს ადამიანთა დაბრუნება დღევანდელ ცხოვრებაში.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8276